

# აბატი

პეტრე ხარისჭირაშვილი.



ტფილისი.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა ნიკ. ქუჩა № 21.

1895



აბატი

პეტრე ხარისჭირაშვილი.

ქართველ ერს თითო-ორულა მოღვაწეები

ჰყვანდნენ, რომლებმაც საკმარისად იღვაწეს ქართველთა გვარის სასარგებლოდ; ამ მოღვაწე პირებმა ბევრი რამ შექმნეს და აღადგინეს ქართველთათვის, თვითონ ეს მოღვაწე პირები-კი ისე წყნარად და ჩუმად სცხოვრობდნენ, რომ მათ მოქმედების ცნობებს ქართველობა სრულებით ვერ იცნობდა. ეს მოღვაწე პირები ისე დაიხოცნენ, რომ მათ შესახებ არსად კრინტი, სიტყვაც არ დამრულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ვერ იცნობდნენ ამ მოღვაწე პირებს და თვითონ ეს პირებიც არა ნდომობდნენ ამ ცნობას. ერთ ასეთ მოღვაწე პირად ჩვენ მიგვაჩნია აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელმაც მთელი თავის ცხოვრება ისე წყნარად და საიდუმლოდ გაატარა, რომ ქართველები არამც თუ მის ცხოვრების ცნობებს, არამედ თვით მის სახელსაც არ იცნობდნენ.

– 4 –

აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი ტომით ქართველია, სარწმუნოებით რომის კათოლიკე, თემით ახალ-ციხის მაზრელი, ანუ ჯავახელი, მესხი, დროის გავლენის მეოხებით სომხის კათოლიკეთ ხმობილი და ხანდის-ხან სომეხ-კათოლიკეების ტიბიკონზედაც მდგარი. იგი დაიბადა ისეთ დროს, როცა საქართველოს ერთი ნაწილი ოსმალებს ეკავათ და მეორე ნაწილი კი თავისუფალი იყო. პეტრე ხარისჭირაშვილი მოესწრა იმ დროს, როცა მისი სამშობლო ქვეყანა ოსმალთ ეჭირათ, იმ დროებში გაახილა მან თვალები, ოსმალთა მონებაში ყოფნის დროს გადახედა თავის სამშობლო ქვეყნის მიდამოებს, ოთხკუთხივ აუარებელს ციხე-კოშკ-ეკკლესიებს და მრავალთაც სხვა ნაშთებს, რომლებიც ობლად იდგნენ სამგლოვიარო ძაძით შემოსილნი და შეგნებულს ქართველს გულ-მუცელს უქრობელის გენიის სახმილით უწვავდნენ.

აქ მცირეთ გზას უნდა აუხვიოთ და მოკლეთ გადავავლოთ თვალი ქართველთა კათოლიკეთა მდგომარეობას ოსმალთა მონებაში ყოფნის დროს. მას შემდეგ, რაც ქართველებმა რუსებისკენ დაიწყეს მზერა და მათგან იმედოვნებდნენ დახმარებას, ქართველებს უფრო სასტიკად დაუწყეს დევნა ოსმალ-სპარსებმა. ასეთი დევნა-მწუხარება აზიის მცხოვრებთ ქრისტიანებში არც ერთს ერს არ მისდგომია კარს, რაც ქართველთ მოუვიდათ. მაჰმადიანები არც ერთს ხალხს არ მტრობდა ისე სასტიკად, როგორც

– 5 –

ქართველებს. მაგრამ ხშირათ არც თვით ოსმალ-სპარსებს ადგებოდათ კარგი დღეები, ქართველები მათ ხშირად ავლებდნენ მუსრს და სდევნიდნენ საქართველოდამ, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც. რამდენჯერ მიმართეს ქართველებმა ოსმალ-სპარსებს ასე:

– ბატონებო, რა გინდათ ჩვენგან! რას გვემართლებით, რას გიშავებთ ჩვენ თქვენა, რომ ასე გვაწუხებთ! ჩვენს სამშობლოს რად გვინგრევ-გვიქცევთ თქვენის წერაქვ-ნიჩბებით! მტერთ პასუხი კი ასეთი იყო:

– თქვენი დარჩენა ჩვენგან შეუძლებელია, რადგანაც თქვენ რუსების მოყვანა გინდათ. დედამიწის პირიდან უნდა აგლგავოთ და თქვენს ქვეყანაში ჩვენ უნდა ვინავარდოთ; ქართველი განაღირსია, რომ მას მშვენიერი წალკოტი ჰქონდეს. ასე ფიქრობდნენ ოსმალ-სპარსები, და ამ აზრებით განმსჭვალულნი ეცემოდნენ ხოლმე ქართველებს, მაგრამ როგორც ვსთქვით ზემოთ, ქართველებიც მედგრად უხვდებოდნენ მათ, ქართველებსაც ჰქონდათ თავისი ძალა და მხნეობა. ესენი გმირულად იხოცებოდნენ მტრის წინ ბრძოლის ველზე და ერთ ბეწო მიწას კი ვერავის უთმობდნენ, თუ არ დიდის გაჭირებით და დაცემით.

ასე გმირულად იღვწოდნენ მამულისთვის ქართველები, მაგრამ გავიდა დრო-ჟამი, სამეფოს შინაური და გარეული საქმეები აირია, აქა-იქ ქართველებში გაჩნდნენ შინათ გამცემნი მტრები და ამ

– 6 –

მტრების მეოხებით დასავლეთ საქართველო ოსმალებმა დაიკავეს, ხალხი დაიმონეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველებს გათათრებაც დაუწყეს. გათათრების საქმე გაძნელდა, ქართველობამ კვალად დაიწყო სჯულისთვის ბრძოლა, ესენი დას-დასობით სწყდებოდნენ წინააღმდეგობის ბრძოლაში, სჯულის გამო ბრძოლაშიაც გაწყდა დიდი ძალი ქართველობა, ვითარცა ართვინის მახლობლად ერთ დღეს 1300 კაცი გაწყდა და ყველა ესენი ჭოროხში იქმნენ ჩაყრილნი. ერთის სიტყვით დასავლეთ საქართველომ დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა, ჯერეთ ქვეყნის დაპყრობის გამო და მერე სჯულის გამოცვლისთვის. დასავლეთ საქართველოს დიდებულნი ნაშთნი მოესწრნენ ყოველნაირ უბედურებას ქართველთა, მათ ნახეს ის ხანა და ერი, როცა ქართველთა რიგიანის შვილების მეოხებით საქართველო ამალღდა და გაიშალა და ნახეს და მოესწრენ იმ გულ-საწვავ ხანასაც, როცა ქართველთ მრავალთა უგვანთა და მუხანათთა შვილებთა მეოხებით აყვა-

ვებულის საქართველო უწყალოდ დაეცა. საქმე ისე მოეწყო, რომ მალე დასავლეთ საქართველოში სიტყვა ქართველიც-კი საგოდებლად შეიქმნა. ქართველთა ასეთი უბედურება და სჯულისთვის ბრძოლა და ტანჯვის ცნობები ოთხსავე კუთხივ იფინებოდა. ეს ამბები ევროპაშიაც გაისმა.

აი ასეთ დროს დასავლეთ საქართველოში გაჩნდნენ რომის კათოლიკეთა მოძღვარნი, რომელთაც

– 7 –

კარგად გაიცნეს ოსმალთაგან დამონებულ ქართველები, გაიცნეს მათი ბრძოლა და ტანჯვა-წამება სჯულისთვის და ბევრი კიდევ სხვა რამეები. ლათინო მოძღვართ ქართული ენა კარგად ჰქონდათ შესწავლილი, ესენი ჩინებულად ლაპარაკობდნენ ქართულად, ნამეტურ ამათი ქადაგება სანატრი იყო ყველასთვის, ექიმობითაც დიდად ქებულნი იყვნენ. ესენი დიდს მფარველობას უწევდნენ დევნულ ქართველებს, ამიტომ ხალხიც დიდის პატივისცემით და მორჩილებით უმზერდა მათ. ლათინო მოძღვართა დასავლეთ საქართველოს ქართველებში დიდი ადგილი და პატივისცემა მოიპოვეს. დევნულ ქართველობა მათ წმიდა მამებად სთვლიდა. მალე მოძღვართ რომში პაპასთან მიწერ-მოწერა გამართეს და ასე შეუთვალეს, რომ ოსმალთაგან დაჩემებულს საქართველოში ქართველებს სულ ათათრებენ, ბერძნის სამღვდელეობას არაფერი ძალა არა აქვს, ჩვენ კი ერში დიდი პატივი მოვიხვეჭეთ, ჩვენ ხალხი დიდად გვაფასებს, ჩვენ რომ მოვინდომოთ, მაშინ მთლად ამ გათათრებულ ქართველებს და იმათაც, ვისაც მომავალში გათათრება მოელისთ, ყველას გადმოვიყვანთ ლათინთ წესზე და გავაქრისტიანებთ, საქმე ახლა რომის ტახტზეა დამოკიდებული.

პაპამ და მისმა კარდინალებმა ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაპყრეს და მალე ოსმალს მთავრობასთან მიწერ-მოწერა გამართეს და უკანასკნელ პირობა შეკრეს და დააბოლოვეს მით, რომ ოსმალებს

– 8 –

ნება არ ჰქონდესთ, რომ თავიანთ საბრძანებელში ვინმე კათოლიკეთაგანნი შეავიწროონ, ან გათათრება დაუწყონ. ოსმალის სახელმწიფოში კათოლიკეც ისევე უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით, როგორც თვით ოსმალნი. ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალეთში კათოლიკების საქმე წარმატების გზაზედ დადგა. რომის ტახტმა ოსმალსთან ასეთ ხელ-შეკრულობის პირობები ყველა სახელმწიფოებს

აცნობა და აგრეთვე მოსწერეს ყველა იმ მოძღვრებს და ცნობები აუწყეს, რომლებიც კი ოსმალეთში სცხოვრებდნენ და იქ მღვდელთ-მოქმედებას ასრულებდნენ. ყველაზე წინეთ ეს ამბავი დასავლეთ საქართველოში მყოფთ მოძღვრებს მოესმათ. ესენი მალე დაიმედნენ საქმის სინამდვილეზე. ამიტომ ამათ დაიწყეს ქართველებში კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება და გათათრებულთ თუ ქრისტიან ქართველებს აქა-იქ აგროვებდნენ და ასე ესაუბრებოდნენ დევნულ ქართველებს:

– ძმებო და შვილებო! თქვენ ყველანი ქრისტიანები ხართ, ეს ადგილებიც სადაც თქვენ ცხოვრობო, მთლად საქართველოა, ხოლო ოსმალთაგან ძალით დაჭერილი და დღეს ოსმალთ თქვენ მოსვენებას აღარ გაძლევს, სჯულით გათათრებენ; თქვენ თუ გინდათ შვილებო, რომ გათათრებას ასცდეთ და როგორმე თავი შეიკავოთ, მაშინ თქვენ შეუერთდით რომის წმინდა ტახტს, ეამბორეთ პაპას, მიიღეთ კათოლიკობა და მაშინ ფიქრი ნუ გაქვს, თქვენ

– 9 –

ხმას არვინ გაგცემთ. პაპამ და სულთანმა ამის შესახებ პირობა შეკრეს და ოსმალთ უფლება არა აქვთ, რომ ვინმე კათოლიკი შეავიწროვონ და ან გაათათრონ. ეს ბევრს სახელმწიფოებში იციან.

კათოლიკეთ მოძღვართ რჩევა ქართველ ქრისტიანებს და ქართველთ ახალ გათათრებულებს ძლიერ ესიამოვნათ და ამათ სრული თანხმობა გამოუცხადეს მოძღვართ. ამათ მიუგეს:

– ოღონდ ქრისტიანად დავშთეთ, ოღონდ ქრისტე არ ვგმოთ და ჩვენ მზათა ვართ, რომ ამ წუთაშივე განვაცხადოთ სურვილი გაფრანგებისა.

პატრებმა მოისმინეს ერის ნატვრა და დარიგება მისცეს მათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ახლად გათათრებულებს ურჩევდნენ ერთის მხრივად მეორეში გარდასახლებას სამუდამოდ თუ არა დროებით მაინც, და იქ თავის-თავის კათოლიკედ აღიარებას. ქრისტიანებს ურჩევდნენ, რომ როცა თათრებმა ძალა დაგატანოსთ – გათათრდითო? – მაშინ ნულა ეტყვი, რომ ქართველები ხართ, თქვენ უთხარით, რომ კათოლიკეები ვართ, პაპის მფარველობის ქვეშ შესულნი და ისინი მაშინათვე თავს დაგანებებენ, ხმას არ გაგცემენ და თქვენ კი კათოლიკებს შეუერთდებით. ასე არიგებდნენ მოძღვარნი ქართველთ. ქართველნიც ისევე მოქმედებდნენ, როგორც მოძღვარნი არიგებდნენ. ქართველნი მალე დარწმუნდნენ საქმის სინამდვილეში და მიტომ იწყეს გაფრანგება და კათოლიკობასთან შეერთება. სულ მცირე

ხნის განმავლობაში კარის და ოლთისის მიდამოებში ახალ გათათრებულ ქართველთაგან 1000 კომლამდე იქმნა ქრისტიანობაზედ მიქცეული და გაფრანგებული; შემდეგ წლებში ლათინთ მოძღვრებმა გაფრანგება შემოიტანეს არდანიუჯის მიდამოებში, ართვინში, მთლად ლივანაში. აქ საქმე ისე კარგად წაუვიდათ, რომ ლივანიდამ ესენი ლაზისტანშიაც კი გადვიდნენ, სოფ. ჩხალას. ჩხალელ ლაზების გაფრანგება ამ დროს შეეხება, რომელთა რიცხვი შემდეგ აქედამ გაფანტულა, გასულ იქმნა მცირე აზიის ქალაქებისაკენ. ართვინის დღევანდელი კათოლიკე ამტრაკიანეები იქაურნი ყოფილან და გაფრანგების გამო შემდეგ დროებში გასომხებულან, გვარიც გარდუკეთებიათ სომხურათ.

პატრები ისე კარგად ადევნებდენ თვალ-ყურს ქართველებს, რომ სადაც კი ოსმალის მთავრობა ქართველებს გათათრებას უწყებდნენ, ესენი იქ მალე ჩნდებოდნენ და ქართველებს გათათრებისაგან იხსნიდნენ. ამათის მოქმედებით და დახმარებით გაფრანგდენ ჯავახეთის ახალ გათათრებულ ქართველნი, რომელთა შთმომავალობით დღეს ახალციხე და ახალქალაქის მაზრები სავსეა. მხნე და თავდადებულ მოძღვართა მიერ თუმცა კათოლიკებს საკმარისი რიცხვი შეუერთდა, მაგრამ ეს მაინც ვერ მოხდა ისე, როგორც სანატრელი იყო. ოსმალთა მანქანებით საქართველოს ეკკლესიამ სამუდამოდ დაკარგა თავისი მრევლი, და ლათინთ მოძღვართაც

მთლიანად გათათრებულ ქართველების გაფრანგებაც ერთობ უძნელდებოდათ, რადგანაც ოსმალის მოლაზხოჯები მათ დავიდარაბას უჩენდნენ. ისიც საკვირველია, რომ ესენი ზოგთა გაფრანგებას ახერხებდნენ. რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ისეთი ქართველი, რომელიც ერთი წლის წინეთ გათათრებულ იყო, ჯამეში სალოცავად დადიოდა და მერე ეს აქედამ ხელს იღებდა და ხელახლა ქრისტიანდებოდა. რასაკვირველია ამაზე პატრებს დაედებოდა ცილი და ამათ დევნასაც დაუწყებდენ, მაგრამ მათ იცოდნენ ამ შემთხვევაში როგორ გაემართლებინათ თავი. რაც ხანი გადიოდა, მით გაფრანგების საქმეც წინ მიდიოდა, მაგრამ რომიდამ მოსულთ ქართული ენის მცოდნე მოძღვართ რიცხვი კი ერთობ მცირდებოდა. ცოტა რომის ტახტის დახმარებამაც იკლო. ღვაწლდებულნი პატრები მოხუცებულებაში შე-

ვიდნენ, უკანასკნელ ესენი რომში მიიქცნენ, ამათ მოადგილედ რომიდან აღარავინ მოდიოდა დასავლეთ საქართველოში. საქმე ისე მოეწყო, რომ იმოდენი მრევლი ქართველთა, რომელნიც რა წვალებით და ტანჯვით იქმნენ თათრობიდან ქრისტიანობაზე მიბრუნებულნი, რომ კინაღამ უმღვდელ-პატრონოდ დაშთნენ. აი ამ დროს, რომის ტახტისაგან ოსმალეთის სომხების კათოლიკეთა უფროს სასულიერო პირს წერილი მოუვიდა და ეუწყათ მათ, რომ ოსმალეთის საქართველოს კათოლიკეებიც თქვენ ჩაიბარეთ და დღეის შემდეგ თქვენ უნდა უპატრონოთ

– 12 –

მათაო. სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო წოდებამ მიიღო და შეიწყნარა პაპის თხოვნა და ბრძანება. ამათ მაშინათვე მოაქციეს ყურადღება ოსმალეთის ქართველთ რომის კათოლიკეებსა და ამათში დაიწყეს მღვდელ-მოქმედება და ქართველ ერის პატრონობა. ამ დროს ოსმალნი არც სომეხ-გრიგორიანებს სდევნიდენ, და მიტომ მრავალ ალაგას ქართველთა თავიანთი თავები სომხათაც აღიარეს და მით გადარჩნენ გათათრებას. შემდეგ ესენი შეუერთდენ გრიგორიანობას და უკანასკნელ, გრიგორიანობის მეოხებით, დაკარგეს ქართული გვარ-ტომობა და შთამომავლობის ხსოვნა. ასეთ გასომხებულ ქართველებით სავსეა თბილისი და სხვა ადგილები; ამათ თავიანთი ვინაობისა აღარაფერი ახსოვთ. ამაზე სხვაგან წაიკითხავთ.

მოგეხსენებათ, რომ კათოლიკის სარწმუნოება სომხეთში ძველადვე აღორძინდა. XII საუკუნეში სომეხ-კათოლიკენი ისე გამრავლდნენ, რომ ლათინთ ეკკლესიის წიგნები მათ მალე სთარგმნეს სომხურს ენაზე და ეკკლესიებში ყველა ლოცვების წარმოთქმა და შესრულება თავიანთ ენაზე დაიწყე. ამის მოწინააღმდეგე მათ არავინ უჩნდებოდა, და ნაცვლად ამისა რომის ტახტს უხაროდა კიდევ, რომ კათოლიკის ეკკლესიის წეს-რიგის წიგნები სხვა ენაზედაც იდგამდა ფეხს. ნელ-ნელა ისე წაუვიდათ სომხებს საქმე, რომ კათოლიკის ეკკლესიის ყველა საჭირო წიგნები სომხურს ენაზე სთარგმნეს და ამ ოსტატობით კათოლიკის ეკკლესიის სულში სომხური

– 13 –

ენა ჩადგეს; ეს დიად კანონიერიც არის და ასეც უნდა მომხდარიყოს. დროთა და გარემოებათა მეოხებით დიდსა და მცირე სომხეთში ისე სომეხ-გრიგორიანთა სჯულის მექონი სომხები ვერ მიდიოდნენ წინ, როგორც კათოლიკე-სომხები, – გარემოება

უფრო ამათ უწყობდა ხელს, რადგანაც ესენი ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებმაც გაიცნეს, ამათ ყურადღებას აპყრობდნენ. რაცკი დრო მიდიოდა, მით სომხებში კათოლიკობაც მაგრდებოდა, მტკიცე ნიადაგზე მკვიდრდებოდა და მის წარმომადგენელ სომეხთაგანი მოძღვარნიც რომის ტახტის ერთგულ-მორჩილად ჩნდებოდნენ. ამათ თავიანთის ერთგულობით დიდი პატივი მოიპოვეს პაპის წინაშე და ამას გარდა მათ გაიცნეს დასავლეთის სამღვდელოების შნო, ხალხთა ცხოვრება, ოსტატობა და განვითარებითაც წინ წავიდნენ.

სომეხ-კათოლიკეთა მოძღვრებს ხალხიც საკმარის პატივს სცემდა, რადგანაც მოძღვარნი ყოველთვის ოსტატურად მოქმედებდენ და მასთან სომხური ენისა და გვარის სიყვარულს. უკანასკნელ, როცა კათოლიკეები გაძალუანდნენ სომხეთში, მაშინ ესენი აღმოჩნდნენ ნამდვილ სომეხთა გვარის მოყვარეები და სომხური ენისა და საქმეებისთვის თავდადებულნი. ამათმა ასეთმა წინსვლამ სომეხ-გრიგორიანებზედაც იმოქმედა, ამათ ერთის მხრით ეჯავრებოდათ სომეხ-კათოლიკეთა მოძღვარნი, მაგრამ მეორეს მხრით-კი – ჰბაძავდნენ მათ, რადგანაც სომეხ-კათო-

– 14 –

ლიკეთა მოძღვრებაში აშკარად ჰხედავდნენ სომხის გვარის სიყვარულს და სომხური ენის მფარველობას. სომეხ-კათოლიკეთ მოძღვრები რაც უნდა მოწინააღმდეგენი ყოფილიყვნენ სომეხ-გრიგორიანებისა, მაინც იგინი იყვნენ სომხის გვარის მოყვარეები და სომხის ერისთვის თავდადებულნი. სომეხ-კათოლიკეთა მოძღვრები ბევრჯერ მხნედ და ხმამაღლა დავობდნენ ხოლმე სომხეთის და სომხის ერის შესახებ იქ, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა.

სომხის კათოლიკეთა შნო იყო, რომ ოსმალეთში სომხებს ოსმალნი ისე არა სდევნიდნენ, როგორც ქართველებს, და ნამეტურ სომეხ-კათოლიკებს ხომ ყველაზე უპირატესობას აძლევდნენ და შევიწროებას გარდა მფარველობასაც უწყევდნენ, რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება მტკიცედ შეენახათ და ევრცელებინათ კიდევ იქ, სადაცა საჭიროდ დაინახავდნენ. სომეხ კათოლიკენი კარგად გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ ოსმალის მთავრობა მათ შესაფერს პატივს აპყრობდა, მფარველობას უწყევდა და ამიტომაც ესენიც ისე მოქმედებდენ მათ წინ, როგორც ხალხს შეეფერებოდა. ამათ თავიანთის მოქმედებით საქმე გაიტანეს და იგინი გახდნენ საყვარელი სულთნის, საყვარელი რომის ტახტის, სომხის კათოლიკეების და თვით სომეხ-გრიგორიანებისაც.



ამათ საქმე ისე მოაწყვეს, რომ მალე თავები იხსნეს რომის პაპის და კარდინალების უფლებისაგან და მალე თვით რომის ტახტის თანხმობით ამათ თავი-

- 15 -

ანთ სასულიერო პირად სომეხთაგანი ამოირჩიეს და ეს პირი დაამტკიცებინეს პაპას სომეხ-კათოლიკეთა უმაღლეს სასულიერო პირად. აი ამ სასულიერო პირის თანამდებობიდან აღმოსცენდა სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქის თანამდებობა, რომელ პატრიარქი დღესაც უზით სტამბოლში. რა კი სომხის კათოლიკებმა თავიანთის უმაღლესი პირის არჩევის ნებართვა მიიღეს პაპისაგან და ეს ამოირჩიეს კიდევაცა, ესენი მის შემდეგ უფრო გამაღუანდნენ, რადგანაც ამ უმაღლეს პირს ირჩევდნენ პაპის თანხმობით და ოსმალის მთავრობის დამტკიცებით, ამიტომ ამ პირებსაც საკმარისი ხმა და ძალა ჰქონდათ რომის ტახტის წინაშე და ოსმალეთის მთავრობისა და მიტომიგინი სომხის გვარის სასარგებლოდ ყველგან თავგამოდებით მოქმედებდნენ.

სომეხ-კათოლიკეთა მღვდელმთავარს ჩაბარდა მთელის ოსმალეთის სომეხ-კათოლიკეთა საქმეები, რომის ტახტმა ამათვე მიანდო ქადაგების საქმე, რადგანაც მათ სიმორე ერთობ უძნელებდა საქმეს, ხელს უშლიდა. გარდა ამისა სომეხებში კათოლიკობას ისე ლათინო მოძღვრები ვერ გაავრცელებდნენ, როგორც თვით ნამდვილ სომეხთა გვარის კათოლიკეთ მოძღვარნი, ამიტომაც რომის ტახტმა სომეხ-კათოლიკეთა მღვდელმთავარს მიანიჭა სრული უფლება ოსმალეთში მართვის, გამგეობის, მოქმედების და კათოლიკის სარწმუნოების ვრცელების. რომის ტახტისაგან ასეთ ბომებულმა უპირატესობამ გაამე-

- 16 -

დიდურა სომეხ-კათოლიკენი და ამათ თავგამოდებით დაიწყეს სომეხებთან მეცადინეობა და შრომა. რომის სამღვდელეობის მიზამვით და მითითებით ამათ დაიწყეს სომხურს ენაზე წიგნების წერა, ბეჭდვა, უკანასკნელ სტამბების დაარსება, სამეცნიერო წიგნების თარგმნა და ბეჭდვა. ერთი სიტყვით ამათ იმ დროს მეტათ დიდი სამსახური გაუწიეს ოსმალეთის და სხვათა სახელმწიფოთა სომეხებს, ამათ აღადგინეს და შექმნეს ახალი სომხეთი, შემდეგ შექმნეს და დაარსეს სომეხთა მსწავლულთა ძმობა „კონგრეგაცია“, რომელ ძმობასაც ეწოდა მხითარისტები, რადგანაც ამ სამეცნიერო დასთა სასულიერო წოდების ძმობის დამაარსებელის სახელი მხითარი იყო.

ამ პირისაგან დაარსებულ ძმობას ვენეციაში, ლაზარეს კუნძულზე, მთელმა ევროპის სახელმწიფოებმა აღმოუჩინეს დახმარება და ამ დახმარებით მხითარისტები დიდათ გაძალუანდნენ, სული ჩაიდგეს, გაიკეთეს სასწავლებლები, დახსნეს სტამბები, დაიარსეს გუნდი სომეხთა მსწავლულთა და იწყეს სომხურს ენაზე წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვა და აწინდელ დრომდის იგინი თავიანთ შრომით ამდიდრებდენ და აწცა ამდიდრებენ სომხის ერს, მათში შეაქვსთ ევროპიული მეცნიერებანი, ბეჭდავენ აუარებელ წიგნებს და ნამეტურ მუშაკობენ სომხეთის ძველსა და ახალს მწერლობაზე და ისტორიაზე. აწინდელი სომეხთა საუკეთესო ისტორიკოსი აბატი ალიშანიც მხითარისტთაგანია. მხითარისტებთა „კონგრეგაცია“ არის

– 17 –

ნამდვილი სომეხთა გვარის დასი და სომხეთისთვის თავგამოდებული ძმობა. სომხეთში თუ რამ გაკეთდა და ოსმალეთში თუ სადმე სომხის ერმა ბრწყინვალე მსვლელობა მიიღო, ეს სულ ამათის შრომით და მეოხებით.

როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ამ დროს დასავლეთ საქართველო ოსმალეებს ეკავათ და იქაურს გათათრებულ ქართველებში კათოლიკის სარწმუნოება გავრცელებული იყო და ახალ გაფრანგებულთ რომის ლათინთ მოძღვრები ჰყვანდათ და ესენი განაგებდნენ იქ, მაგრამ საუბედუროთ დროთა, გარემოებათა და სიშორის გამო ამათაც დაანებეს ქართველთა კათოლიკეთა საქმეებს თავი და ევროპაში გავიდნენ; ქართველ კათოლიკენი, რომელნიც მაშინ რომის კათოლიკედ ირიცხებოდნენ, დარჩნენ უმღვდელ-უმწყესოდ, მაგრამ ამ საქმეს რომმა მალე მიაქცია ყურადღება და დასავლეთ საქართველოს ქართველ კათოლიკენიც ჩააბარეს ოსმალეთის სომეხ-კათოლიკეების უმაღლეს სასულიერო წოდების პირს და მის გამგეობას. ქართველნი შევიდნენ სომეხ-კათოლიკეთა სრულს უფლებებისა და გამგეობის ქვეშ.

სომხის კათოლიკეებმა მალე მოაქციეს ყურადღება დასავლეთ საქართველოს ქართველ კათოლიკებს და მათში მალე გამოამწყესეს სომეხ-კათოლიკეთა მღვდელნი, რომლებიც სომხურებრ იყვნენ აღზრდილნი, მღვდლებმა ქართული ენა არ იცოდნენ,

– 18 –

ამათ დაიწყეს მღვდელ-მოქმედების შესრულება სომხურს ენაზე, ხალხს ესენი საყოველთაოდ შინა და

გარეთ სომხურს ენაზე ესაუბრებოდნენ; ეკკლესიაში ქადაგებაც სომხურს ენაზე ჰქონდათ. ასე და ამ გვარად ქართველ კათოლიკეთათვის საჭირო ენად სომხური ენა გახადეს. ქადაგებაში წარმოსთქვამდნენ ასე: – ნამდვილი კათოლიკენი თუ ხართ, ნამდვილი ქრისტიანები, მაშინ თქვენ თქვენი საეკკლესიო სომხური ენა უნდა აუცილებლად შეისწავლოთ, უამისობა არ შეიძლება, თქვენი სჯულის ლოცვები უნდა ზეპირად იცოდეთ, თუ ესენი არ გეცოდინებათ, მაშინ თქვენ კათოლიკეები არ იქნებით.

იმ დროის ქართველნი იყვნენ უემშაკონი, როგორც სჯულისა და ეკკლესიაში სახმარებელი ენის, დაიწყეს სომხური ენის შესწავლა, ამ დროს სომეხთ მოძღვრებმა აქა-იქ გახსნეს სასწავლებლები და ქართველთა შვილებს სომხურს ენაზე დააწყებინეს წერა-კითხვა და სწავლება. საქმე ისე მოაწყეს და მოემართა, რომ შემდეგ დროებში ამ მოძღვართა მეოხებით ქართველ კათოლიკებმა თავიანთ სამშობლო ენად სომხური ენა იცვნეს და ამ ენის შეთვისებისთვისაც იწყეს მეცადინება. სომეხთ კათოლიკეთა მოძღვართაც ეს უნდოდათ. ესენი ამის მეტს სხვას არას ნდომობდნენ, ესენი იმას ფიქრობდნენ, რომ ვინემც ჩვენ შევისწავლოთ ჩვენი მრევლის ენა, მათ შეისწავლონ სომხური ენაო. ასეც აუბდათ. ქართველები არამც თუ შესწავლას დაადგნენ,

– 19 –

არამედ თავიანთ დედა-ენად სომხური ენა იცნეს და შემდეგ დროებში ამ ენისთვის მათ დავა და მფარველობაც დააწყეს; სომხის კათოლიკეთა მოძღვრები ქართველებში მარტო სომხურს ენას არ ავრცელებდნენ, ენასთან ერთად მათ მათში შეჰქონდათ სომხეთის სიყვარულიც და ამათ აქეზებდნენ, რომ საქართველოს მიდამოებიდამ ოსმალეთის სომხებისკენ გარდასახლებულიყვნენ, სადაც მათი მერჯულე კათოლიკეთ რიცხვი დიდი იყო, ეს ჰაზრები ნელ-ნელა განავრცეს ერში, ამ საქმისთვის მათ ხელს უწყობდა იმ დროის კათოლიკეთა უმაღლეს სასულიერო პირის და პაპისა მოქმედება. ამ პირების სახელის ხსენებისთვის ქართველნი მზათ იყვნენ, რომ თუნდ ზღვაში ჩაცვივნულიყვნენ.

ქართველთა გარდასახლების საქმეს ისიც უწყობდა ხელს, რადგანაც საქართველოს მიუვალს ხეობის ადგილებში კათოლიკებს ცხოვრების საქმე უჭირდებოდათ, და მეორე – ქართველ მუსლიმანთა და ოსმალთაგანაც იდევნებოდნენ, რადგანაც აქ ოსმალს გამგეობა და კანონი ყურთა გლეჯაზე იყო დამოკიდებული. ამიტო ქართველთ კათოლიკებმა

იწყეს სომხეთში გარდასახლება და დასახლება იქ, სადაც უფრო კათოლიკეები სცხოვრებდნენ. მეტად დიდი რიცხვი გარდასახლდა კოსტანტინეპოლში. ქართველნი დასახლდნენ აქა-იქ სომხებში, რიცხვით სულ რომ მცირე ვსთქვათ, ათი ათასზე ნაკლებს ვერ ვიტყვით. ეს რიცხვი მანამდის თუ თავის საეკლესიო

– 20 –

ენათ სომხურს ენას სთვლიდა, მის შემდეგ მათ თავიანთ სამშობლო ენათ სომხური ენა ჩათვალეს და ამ ენაზე იწყეს მეცადინეობა. 100 წლის განმავლობაში საქმე ისე მოხერხდა, რომ ნამდვილ ქართველთა შთამომავალ კათოლიკეებმა დაკარგეს თავიანთი დედა ქართული ენა, დაივიწყეს გვარტომობის მომდინარეობა, სამშობლო ქვეყანა, იწყეს სომხობა, სომხური ენა იცნეს სამშობლო ენათ და ნამდვილ სომხებათ იქცნენ, სომხის გვარის შთამომავალთ.

მხნე და მეცადინე კათოლიკეთა მოძღვართა მეოხებით საქმე მარტო ქართველების გადაგვარებით არ გათავდა. ქართველთა რომ უფრო მკაცრათ დავიწყებოდათ თავიანთი ვინაობა და ამისთვის მათ რაიმე ექვიც არ ჰქონოდათ, ამიტომ ქართველთ კათოლიკეთა გვარებსაც კი უწყეს გარდაკეთება და გარდასხვაფერება, უფრო სომხურს კილოზე. ქართველთა გვარები ისე გარდააკეთეს, ისე გარდაასხვაფერეს, რომ დღეს კაცი სულ ვეღარ იფიქრებს და წარმოიდგენს მას, რომ დღევანდელ რომელიმე სომეხ-კათოლიკეთა ძველი გვარი სხვა ყოფილიყოს, რომელსაც აწინდელს მათ გვართან არაფერი კავშირი არ ჰქონოდა. ესეთი გაცალკევება, განსხვავება და გადაგვარება თვით კათოლიკეებისთვის უფრო არის საეჭვო და საკვირველი, ასეთ საქმეთა წინმსვლელობა ქართველ კათოლიკეებში უფრო ოსმალეთის სომხეთში მიეცა, კოსტანტინეპოლს, არზრუმს, ოსმალს საქართველოს განაპირა მიდამოებში; ესევე

– 21 –

სენი ნელ ნელა ფეხს იდგამდა ჯავახეთშიაც. სომეხ კათოლიკე მხნე მოძღვართა ჯავახეთში სადგომათ და საქადაგებლად ახალ-ციხე ამოირჩიეს, ახალციხეში დამკვიდრდნენ იგინი და იქიდან მოქმედებდნენ ხალხში, იქიდან ჰქადაგებდნენ ქრისტიანობას და სომხობას. მალე მიაღწიეს წადილს და მათ მრავალ ქართველთა სოფლები გადიბირეს და გაასომხეს, აქაურნი ქართველნი ისე გადიბირეს და გაასომხეს, რომ მალე მათ ქართველობის შეჯავრებაც კი დაუწყებეს, მაგრამ ამათ არც ეს იკმარეს! ესენი უფრო

შორს აპირებდნენ წასვლას, მათ სურდათ საქართველოს სამეფოს საბრძანებელშიაც შემოსვლა, რომის ლათინთ მოძღვართ თავიდან მოშორება და ქართველთ კათოლიკეთა პატრონობა და ამათშიაც შემოტანა და განმტკიცება იმა აზრებისა, რომ ვითომც ისინი სომხის გვარის კათოლიკენი არიან და არა ქართველის, მაგრამ ეს ვერ მოუხერხდათ, თუმცა წადილი კი დიდი ჰქონდათ. ამათმა წადილმა მარტოთ ოსმალეთის სამფლობელოში გაიდგა ფესვი, მარტოთ იქ მოიკიდა ნიადაგი და იქ ჩაჰყლაპეს მათ მრავალნი ქართველნი. ამავე სენის გავრცელებას ჯავახეთშიაც დაადგნენ და სურდათ, რომ ჯავახეთის ქართველებშიაც აეღორძინებათ ეს ჰაზრები, მაგრამ სხვა და სხვა დამაბრკოლებელ საქმეებთა მეოხებით, ჯავახეთში ეს ისე კარგად ვერ მოუხდათ, ვერა გააწყეს რა და უკანასკნელ ხომ 1829 წ. როცა ჯავახეთი ოსმალს მოსცილდა და აღმოსავლეთს სა-

– 22 –

ქართველოს შეუკავშირდა, მას შემდეგ ხომ მათს აზრებს ძირი მოეთხარა და დაიმარხა სამუდამოთ.

ასეთ დავრდომილს მხარეში და ხალხში დაიბადა პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელიც თავის დროსვე ახალი გიორგი მთაწმინდელათ იქმნა წოდებულნი მრავალ პატივცემულ ქართველ კათოლიკეთაგან. მაგალითად მისს გარდაცვალებაზე ახალციხის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში სიტყვა წარმოსთქვა პატივცემულმა ქართველ კათოლიკეთ მოძღვარმა იოანე გვარამაძემ და ერთ ალაგას ასე მოიხსენია: „როცა ჩვენი მესხეთი ბრწყინავდა სწავლა-განთლებით იმ დროს მრავალი ჩინებული მოღვაწე და მწერალნი ყოლიათ ჩვენ წინაპართა, კივრიოზ კათალიკოზი, პეტრე ქართველი მუამის ეპისკოპოსი, იოანე და ექვთიმე მთარგმნელნი და სხვანი, გარნა არც ამ შემცირების დროს მოგვკლება პატიოსანი და ღირსნი მოღვაწენი. ეკალში ვარდი ამოვაო, წყლის პირას შრომანი, მინდორ ველზედაც ყვავილი. ჩვენს ამ დავრდომილს მხარეშიაც სხვათა შორის ამ ჩვენ მეცხრამეტე საუკუნეში გამოჩნდა მამა პეტრე ხარისჭირაშვილი". ჭეშმარიტათ ეს სწორეთ ასე გახლდათ და ზემო ხსენებულ პირების თანახმად პ. ხარისჭირაშვილი ქართველებს ახლად აღმოუჩნდათ და აღმოუბრწყინდათ. ეს ისეთი მოღვაწე პირია, რომელსაც ქართველ კათოლიკეებში ცალი არა ჰყავს. ეს მაღლა იდგა თავის დროზე თანამედროვე სამღვდელთაზე. იმის მამულის სიყვარული და ტრფობა არის იერე-

– 23 –

მია წინასწარმეტყველის გოდება და ტირილი. საქართველოს გამო ერთ თავათ გლოვა, წუხილი დღე და დამ მხოლოდ საქართველო უდგა თვალწინ.

პირველი დაწყებითი სწავლა მიიღო ერთს ახალციხის სამრევლო სკოლაში. მაშინ ახალციხის სკოლებში მხოლოდ სომხურს ენას ასწავლიდნენ. ეს ენა იყო იქაური ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ენათ მიღებული. ქართულ ენას მხოლოდ ოჯახში ასწავლიდნენ, ამასაც ხელთ ნაწერის ანბანით. მათში ქართული ანბანის ხმარება მცირეთ 1805 წელს შემოვიდა, როცა თბილისიდან განმეგებული პატრი ნიკოლა იმერეთში გადავარდა, მერე ახალციხეში, სადაც ასრულებდა მღვდელ მოქმედებას და კათოლიკებსაც ცხადათ ასმენდა, რომ თქვენ ქართველები ხართ და არა სომხებიო.

ამან აქ დიდი ბრძოლა გამოიარა, საქმე იქამდის მივიდა, რომ სომხის კათოლიკეთ აღიარებულნი ჯავახელნი კინაღამ სომხის გრიგორიანებს შეუერთდნენ. სომხის კათოლიკეთა მღვდლებმა ეკლესიები დაკეტეს, გასაღებები ეჩმიაძინს გარდასცეს და ამათ სთხოვდნენ დახმარებას, პატრი ნიკოლას კიცხვა დაუწყეს და მასთან მტკიცება, რომ ჩვენ სომხები ვართ და არა ქართველებიო. მაგრამ პატრი ნიკოლა არავის უშინდებოდა.

პეტრე ხარისჭირაშვილი სამრევლო სკოლაში ყოფნის დროს ეკლესიაშიაც მსახურებდა. შემდეგ ის გადიყვანეს ალექსანდროპოლის კათოლიკეთა სა-

სულიერო სასწავლებელში, სადაც კარგა ხანს დარჩა. ეს სასწავლებელი სომეხ კათოლიკეთა მოძღვართ აღმზრდელათ იყო. აქვე იზრდებოდნენ ქართველ კათოლიკეთა შვილებიც, რომელნიც კი სასულიერო წოდებაში ემზადებოდნენ. მთელის აზიის კათოლიკეთა მოძღვრებს აქ ზრდიდნენ, სომეხ კათოლიკების ტიბიკონით ამზადებდნენ. აქვე ასწავლიდნენ აღმოსავლურს ენებს, გარდა ქართულისა და ევროპიულის. ამ სასწავლებლის მეოხებით უფრო იფინებოდა ქართველ კათოლიკებში ქართული ენის და გვარტომობის ვრდომა, აქედამ გამოსულთ მოძღვართა მეოხებით გადაბირდნენ ქართველ კათოლიკენი. მათი უმეტესი ნაწილი შემდეგში ოსმალეთში იქმნა გადასახლებულნი. პ. ხარისჭირაშვილზე კი ვერაფერი გავლენა მოუხდენია ამ სასწავლებელს, რადგანაც სხვა ენებს გარდა ის ქართულსაც სწავლობდა. ქართული წერა-კითხვა მისთვის პირველად შინ უსწავლებიათ ხელთ ნაწერის ანბანით.

ზოგთაგან გამიგონია, რომ ხელთ ნაწერ ანბანს გარდა კათოლიკებს ბეჭდური ანბანიც ჰქონდათო. ქართულად ანბანი ამათ 1780 წელს დაუბეჭდიათ რომში, ტულუკანთ გორელს დავითას. ამ ანბანის უმეტესი ნაწილი საქართველოს რომის ქართველ კათოლიკეთათვის უგზავნიათ და არა ჯავახელ კათოლიკეთათვის, რადგანაც ეს ძირეულ ქართველ გვარის კათოლიკენი სომხებათ ყოფილან აღიარებულნი.

სემინარიაში სწავლის შემდეგ რომში და პაპის

– 25 –

უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა, სადაც დაამთავრა სამღვთო-სამეტყველო სწავლა. გარდა ამისა სწავლობდა ენებს, ლათინურს, ნემეცურს, იტალიანურს, პოლონურს, ფრანცულს, თათრულს, ბერძნულს და ქართულს. ამბობენ, იტალიანურს და ფრანგულს ენაზე ისე ქადაგებდა, როგორც თავის სამშობლო ქართულს ენაზეო. შემდეგ ის ნაკურთხი გადასახლდა ვენეტიკის მხიტარისტებში, რადგანაც ზოგი ერთ ქართველ გვარის მექონე ბერებიც სცხოვრებდნენ იქ, მას გული მისწევდა, მათში ცხოვრება და სასტამბო საქმეების გაცნობაც სურდა. ეს დასახლდა მხიტარისტებში და დაიწყო ქართველ კათოლიკეთ სასარგებლოთ მოღვაწეობა. აქ მას სომეხ კათოლიკეს ეძახდნენ.

იგი კი ქართველად სთვლიდა თავის თავს და საქართველოს სიყვარულიც უცხოველდებოდა, რადგანაც ამას წინათვე ჩაენერგა გულში წინაღმდეგობა იმ ქადაგებისა, რომელსაც მრავალნი ავრცელებდნენ, რომ საქართველო მტკვრის გამოღმა არ არსებობს. მტკვრის აქეთა მხრის ხალხნი გვარტომობით სომეხნი არიანო, გარდა ამისა თვით საქართველო რა არის! მას მომავალი არა აქვს. მისი გვარტომობა მის თანამორწმუნე ძლიერის გვარისაგან მალე აღიგვება და მოისპობა. ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ ქართველ კათოლიკებმა ეს ენა მალე დაივიწყონ, თორემ ბოლოს სამწუხაროთ გაუხდებათ საქმე და მაშინ გვიან იქნება..... ასეთი აზრები პეტრეს უფრო და

– 26 –

უფრო უმტკიცებდნენ ერთხელვე დანერგულს სამშობლოს სიყვარულს და ასმენდნენ, რომ ეს ქართველია, მისი ქვეყანა მრავალ წამებული საქართველოა, მისი დედა ენაც ის ქართული ენაა, რომელიც ადიდა შოთა რუსთაველმა, შავთელმა, ჩახრუხაძემ, თმოგველმა და გიორგი მთაწმინდელმა. პეტრე თავის მეცადინეობით მალე მივიდა იმ შეურ-

ყველ ჭეშმარიტებამდის, რომ თავისუფლად ამბობდა:

– გვაროვნობით ჩვენ სომეხ კათოლიკენი არა ვართ, ჩვენ გვაქვს ჩვენი ქართული ენა, წიგნები, სამშობლო ქვეყანა და მამასადაძამე ჩვენს ეკლესიაშიაც ჩვენს ენაზე უნდა იქმნეს წირვა ლოცვა. როგორ შეიძლება კაცმა ღმერთი ადიდოს იმ ენით, რომელიც მას არ ესმის, რიგი არ არის, რომ თავის ენაზე ვინმემ კაცს ღვთის დიდება დაუშალოს. ასეთის აზრებით იყო იგი გამსჭვალული, როცა ის ახალციხეში გამოამწყესეს. ამასაც ეს სურდა და ხმა მალლა სთქვა ერთ წერილში ასე: „გმადლობ ღმერთო, რომ ამიხილე თვალები, შენ მამცნიე ჩემი სამშობლო ენა, მწიგნობრობა, მიმახვედრე მის ისტორიას, სახელწოდებას, მისს დღევანდელს მდგომარეობას, მის წინანდელს დავრდომილებას. ღვთისა და ქრისტიანობის დიდმა აზრებმა განავრცოს ეს აზრები ჩემ თანა მემამულეებში და დაიფაროს იგინი თავიანთი სამშობლო ქვეყნით, ენით, წიგნობრობით და გვარტომობით.

სამშობლო ქვეყნის შავბედის მტირალი პ. ხა-

– 27 –

რისჭირაშვილი მეტათ გულ მდუღარეთ სტიროდა საქართველოს დასავლეთ ნაწილზე. ნამეტურ იმ ადგილებზე, რომელიც ოსმალეთს ეკავა და სადაც ადრევე მოისპო ქართველთა კვალი. ჯავახეთის, კოსტანტინოპოლის და სხვა ადგილების გადაგვარებულს ქართველებს ეს ასე შესჩიოდა:

– როგორ, ჩვენ ქართველები აღარა ვართ, მაშ ჩვენ ჩვენი სამშობლო ენა აღარა გვაქვს. ჩვენი ძველად გამშვენიერებული ენა, მოქალაქეობა, სწავლა განათლება და სიტყვა კაზმული მწერლობა? განა ყველა ეს ჩვენ უნდა დავივიწყოთ მხოლოდ მიტომ, რომ ქართველები არა ვართ? შეუძლებელია. ეს აზრები ჭეშმარიტების წინააღმდეგია.

ამის მეცადინეობას ის უფრო აფართოებდა, რადგანაც მას ძლიერ უყვარდა ქართული მწერლობა. ნამეტურ უფრო კითხულობდა საქართველოს ისტორიის შესახებ. ბევრს ისტორიულს წერილებიდან კი იგი უკმაყოფილოდ რჩებოდა, რადგანაც ისტორიაში ქართველთა შესახებ უბედურების მეტს ვერასა ხედავდა, ნამეტურ სომხურს ენაზე და სომეხ მხითარისტების ნაწერებში, რომელთაც საქართველოზე წერა გამუდმებით დაიწყეს იმ დღიდან, როცა სომეხ კათოლიკეთა მხითარისტებს პარისის ორიენტალისტთა შორის არმენისტმა სენ მარტენმა წინადადება მისცა, რომ ამ მსწავლულ მხითარისტებს საქართველოს შესახებაც რამე ისტორიული წერი-



საქართველოს შესახებ, სადაც ერთს დროს ეს მსწავლულიც მოგზაურობდა. მხითარისტებმა საკმარისად აღწერეს დასავლეთ საქართველო, ნამეტურ ლივანა, აჭარა, არტაანი, ტაოსკარი, კლარჯეთი, კოლა, ერუშეთი, შავშეთი და სხვა ადგილები, როგორც ისტორიულად ისე სხვა ფრივ. ყველა ამას ვენეციაში სომხურ ენაზე ბეჭდავდნენ, საიდანაც სარგებლობდნენ მრავალნი ორიენტალისტნი, როგორც შვეიცარიის მსწავლული დუბუა დე მონპერი, ისევე სხვებიც.

მხითარისტებმა აწერეს აქამდისაც ოსმალის ხელში დაშთენილი იშხნის ტაძარი, ხახულის ტაძარი, პარხლის და სხვ. ამ დიდებულ ნაშთებს გარდა მათ ბევრი კიდევ სხვა ნაშთნი აწერეს, რომელნიც სენ მარტენის წინაშე თავისს დროსვე იქმნა ცნობილი. ამათგანვე ისარგებლა სომეხ კათოლიკეთა მხითარისტ მსწავლულთ აბატ ალიშანმა, რომელმაც აღწერა ნაშთების სურათები და ჩაურთა თავისგან დაწერილს კილიკიის ვრცელ ისტორიაში. ამ მხითარისტებისაგან მთლად დახატულია დიდებული იშხნის ტაძარი, ხახულის, პარხლის, ტბეთის; მაგრამ ამათი არა მოსაწონი ის იყო, რომ ესენი მთელ დასავლეთ საქართველოს ძველ სომხეთის ნაწილად აღიარებდნენ, ხოლო ქართველობისგან ბაგრატიონების გაძლიერების შემდეგ მითვისებულათ. სენ მარტენის გარდა ბროსემაც საკმარისად ისარგებლა ამ შეცდომიან ნაწერებიდამ, ბოლოს საქმე ისე მოეწყო,

რომ სენ მარტემ და ბროსემ მხითარისტებს ქართული ენის შესწავლაც დაავალეს და მათთან ქართულ ენაზე წიგნების თარგმნა, ნამეტურ ქართველ კათოლიკეთათვის საჭირო წიგნების. მაგრამ იმ დროის მხითარისტებმა ეს ვერ მოახერხეს, რადგანაც მათ ქართული ენა ეჯავრებოდათ. შემდეგს წლებში ეს ჩინებული საქმე მხოლოდ პ. ხარისჭირაშვილმა შეასრულა სხვათა ქართველ კათოლიკეთა დახმარებით. ნამეტურ ეხმარებოდა მოძღვარი ივანე მამულაშვილი. პატივცემული ივანე მამულაშვილი გარდაიცვალა 1883 წ. ახალციხეში. ამისი შრომა არ არის დაკარგული წინაშე ქართველ კათოლიკებისა.

როგორც ვსთქვით, პეტრე დროებით კოსტანტინოპოლში მსახურებდა, შემდეგ ვენეტიკის მხითარისტებში გადასახლდა, სადაც მან დაიწყო ქა-

რთველთ სასარგებლოდ ღაღადება. ამან თავის ოსტატობით და გამჭირახობით მხითარისტების ზოგი ერთი პირები დაარწმუნა, რომ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკეებიც არიანო. ასე რომ ზოგი ერთ პატიცემულ პირებმა ჯეროვანი თანაგრძნობა გაუწიეს. პეტრემ აქ გამოაქვეყნა ივ. მამულაშვილის შრომა და მასთან მისი დაბეჭდვის საჭიროება, რასაც სიამოვნებით მიეგებნენ, რადგანაც ხსენებულ პირთა თარგმანთ შორის ერთი რამოდენიმე სომხურიდამ ნათარგმნი ხელთ ნაწერები, რომლებიც ეკუთვნოდნენ სომეხთა კათოლიკის მხითარისტთ წარმომადგენელთ-მწერალთ ინჯიჯიანს და ზურაბიანს,

– 30 –

ამიტომ მხითარისტები დაპირდნენ პეტრეს თხოვნის შესრულებას, იმას მისცეს ერთი დიდი დარბაზი, საცა სცხოვრებდა, შრომობდა და წიგნებს სთარგმნიდა.

მალე აქ ისეთი პატივი დაიმსახურა, რომ ქართულ თარგმანთა დასაბეჭდათ ქართული ასოებიც იქმნა შემოღებული, სტამბა დაარსდა. ყველა ამის თაოსნობა პეტრეს ეკუთვნის. ისიც კი უნდა ითქვას, რომ მხითარისტებში პეტრესგან სტამბის დაარსება არ იყო ახალი საქმე. აქ ქართული ასოები 1800 წ. შეეძინათ, თუმცა შეუმჩნეველათ. რაკი პეტრემ მხითარისტების ზოგიერთი მღვდელმთავრები მიიმხრო თვისკენ, იგინი დააჯერა ქართველ კათოლიკეების არსებობაზე. შემდეგ სხვა ადგილებისკენ ისურვა მგზავრობა და ქართველთ შესახებ საუბარი. ვენეტიკიდან ეს მალე გაემგზავრა ევროპაში. პირველად მივიდა რომში პაპასთან და წარუდგინა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოს შესახებ.

მხითარისტებში პ. ხარისჭირაშვილმა იქამდინ აიმაღლა სახელი, რომ დღევანდლამდის მხითარისტების სასწავლებელში არის ერთი ოთახი, სადაც აწყვია მხითარისტების ბიბლიოტეკის წიგნები და დღესაც მთელი „კონგრეგაცია“ პ. ხარისჭირაშვილის ოთახს უწოდებენ ამ ოთახს. პეტრე ხარისჭირაშვილი მეტად ღვთის მოყვარე პირი იყო, ქრისტიანობის დიდის პატივის მცემელი. მისი აზრით ქრისტიანობა ყოველის ვრდომილის კურნება არისო. ამის

– 31 –

მეოხებით იგი იყო მეტათ გულ-კეთილი მოძღვარი. ეს ჰაზრები მას ნამეტურ მაშინ გაუფართოვდა, როცა იგი თავის სამშობლოში მოვიდა, აქ უფრო ნათლად გამოიჩინა თავისი გულ-კეთილობა. სათ-

ნოება, ღარიბთა შემწეობა, ვრდომილთა პატრონობა მას სიკვდილამდისინ შერჩა შეურყეველ უცვალე-ბლად. ეს ჭეშმარიტების მქადაგებელი მოძღვარი ყოველთვის მზათ იყო გაჭირვებულის კაცის საქმეში მონაწილეობა მიეღო, ასე რომ თავის სარჩო საბადებელი სულ ღარიბთა სასარგებლოთ მიაჩნდა. ეს ამბობდა:

ყოველი კაცი მოვალეა, რომ ჯერ თავის გვარის ღარიბთ დაეხმაროს და მერე სხვას. ამის მღვდელ მოქმედების დროს არ ყოფილა ერთი ქართველი კათოლიკე ღარიბთაგანი, რომ მისგან დახმარება არ მიეღო. გარდა ამისა იგი დიდათ სწუხდა ერთი პირისგან მეორეს დაჩაგვრას, დაწიოკებას და ანიავებას; ასეთ საქმეებს იგი თვალ ყურს ავლებდა და ქადაგებითაც სდევნიდა. საქართველოში ხალხის წინაშე ამან მალე მოიპოვა უზომო პატივის ცემა. მოახლოვდა ის დროც, როცა მას თავისი აზრები უნდა ექადაგნა. ამან მალე მიმართა მრევლს:

ჩვენ ჯავახეთის კათოლიკენი ქართველი გვარისანი ვართ და არა სომხები, ვინც ამის წინამღდეგი იქმნება, იმას მე ვკითხავ, რომ მან დამიმტკიცოს წინამღდეგი ისტორიულის ცნობებით. მათ მივცემ ამ გვარს კითხვებს:

– 32 –

– როგორ? განა ჩვენ ქართველები არა ვართ. საქართველოში არა ვცხოვრებთ? განა ჩვენი ენა ქართული ენა არ არის? მე არავის დაუთმობ ამის უარყოფას, მოწინაამღდეგებს ვიწვევ სჯაში და ბაასში, დავუმტკიცებ მათ ისტორიულის ცნობებით, რომ ჩვენ ქართველნი ვართ, ეს ყველასთვის ცხადი არის. მართალია ჩვენი გვარი გადაკეთებულია, მაგრამ ეს სხვა და სხვა მანქანებით მომხდარა. სული სულს ვერ ეთვისება, გული გულს, აგრეთვე ზნე და ხასიათი. აქამდის რაც მოხდა ძალდატანებით, ის უკვე წავიდა.

გვაროვნობის უარმყოფნი ქართველები ნეტა რას უნდა გვანდნენ, ნეტა რა უნდა მიემატოთ ერთის უარყოფით და მეორის მითვისებით? გაკვირვებული ვარ ამაზე, ან ჩვენი მოძღვარი მამები რათ უარს ჰყოფენ ამ ჭეშმარიტებას, ჩვენი ენა და გვარტომობა რომის პაპისაგან ადრევე იქმნა ცნობილი და დამტკიცებული, საქართველოს კათოლიკენი ქართველად წოდებულნი.

ამ გონივრულმა მოძღვრებამ აიყოლია მთელი ქართველთ კათოლიკობა, მისმა აზრებმა მალე გაიკვლია ხალხში გზა. მას მეტად ეხმარებოდა ისიც, რომ იგი იყო შესანიშნავი მქადაგებელი, უწყიან: „რომ იგი იყო სიტყვა მჭევრი, ენით რიტორიო“. ქადაგე-

ბის დედა აზრებსაც ყოველთვის ჩინებულის სიტყვებით რთავდა, ასე რომ მისი ქადაგება იყო ბრძნული მოსაზრება და არა უბრალო სიტყვა. პეტრე ხარისჭირაშვილი მალე მოესწრო თავის ჰაზრების

– 33 –

აღყვავებას, მან მალე დაინახა ის მოვლენა, რამაც ჯავახეთის ქართველთა კათოლიკების გადაგვარების საქმეს ძირი მოუთხარა. პეტრეს უფრო ადარდებდა ოსმალეთის საქართველოს ის ადგილები, სადაც ძველადგანვე დაიწყო ქართველების გადაგვარება. მაგ. ართვინში, სადაც XVIII საუკუნეში ათასი კომლი იქნებოდა გადაგვარებულ ქართველთა, არდანუჯისკენ, არტაანისკენ და სხვაგანაც მრავალი, ბევრი ამათგანი ძველითგანვე გარდასახლებულ იქმნენ სომეხ კათოლიკეთა რჩევით არზრუმში, სტამბოლში და სხვა ადგილებში. მათი გადასახლება სამშობლოდამ მით უფრო ხდებოდა, რადგანაც დასავლეთ საქართველოს ადგილებში კათოლიკებს ხშირათ გაჭირებაც ადგებოდათ, სამღვდელოებას მკაცრათ პატრონობა უჭირდებოდა. გარდა ამის სამღვდელოებას ცოტა გვარტომობის აზროვნებაც ქონდათ და რაკი ქართველ კათოლიკენი სომხებათ იწოდებოდნენ, დიდათ სურდათ, რომ მათში ქართული ენაც მოსპობილიყო. ბევრს სასულიერო პირს ისიც კი ჩაენერგა გულში, რომ ქართველ კათოლიკეები სომხები არიანო, მიტომაც იწოდებიან სომხებათო, მხოლოდ დროის მეოხებრთ გაქართველებულანო. მაგრამ ეს არ არის.

XVIII საუკ. ნახევარს კოსტანტინოპოლში ქართომელ კათოლიკეთა მცხოვრებთ რიცხვი 1500 კომლზე მეტი ყოფილა, ყველა ესენი დასავლეთ საქართველოდგან იქმნენ მოკრებილნი. ყველა ესენი იწოდებოდნენ სომეხ კათოლიკეთ და მათს ეკვლე-

– 34 –

სიებშიაც ყოვლისფერი სომხურ ენაზე სრულდებოდა. ორი საუკუნის განმავლობაში მათ დაკარგეს თავიანთი ენა, გვარტომობა და ზნეჩვეულებანი. უკანასკნელ ბევრმა მათგანმა გვარებიც კი გადაიკეთეს მაგ. ზაქარიანცები ზაქარიამები მაჭახლის პირში მთელი სოფელია, აზარიანცები, აზარიშვილები, სავსეა ივერის ხეობა, აჭარიანცები, ზურაბისშვილები, ზურაბიანცი, მაისურიანცი, (მაისურამები), ფაფაზიანცი, (მოცოშვილი) აშტრაკიანცები, მერაბაშვილი, (მერაბიანცი) პარმაქსისიანცი (ვანამე) ლაზარეშვილი (ლაზარიანცი), გვარამამე (ოჰანეზიანცი)

მჭედლიშვილი (მჭედლიანცი), მღებრიშვილი (მღებარიანცი), ცინარაძე (გალატოზიანცი), წამალაშვილი-წამალიანცი). ზოგთა გვარი ისეა გადასხვაფერებული, რომ მათი ქართულის შთამომავლობა საეჭვოთ ხდება თვით ქართველ კათოლიკეთათვის. ოსმალეთის შორს ქვეყნებში კი არა, ჩვენს ახლო მდებარე ართვინის დღევანდელ ქართველ კათოლიკებსაც კი თავისი აღარაფერი ახსოვთ. მათში შენახულა მხოლოდ თითო ოროლა ქართული სიტყვები, მაგალითად: ბიძა, მამიდა, სიმე და ძია. ესენი პირველ ხანებში სომეხ კათოლიკეთა ლოცვებს ქართულის ასოებით სწერდნენ, რადგანაც მათში გავრცელებული იყო ქართული ანბანი, შემდეგ კი თუმცა ხალხმა თავისი ანბანი დაივიწყა, მაგრამ ლოცვებს კი არ ივიწყებდნენ, იმას სწერდნენ სომხურის ასოებით. ასეთი ლოცვები მე თვით ვნახე ლივანაში.

– 35 –

პ. ხარისჭირაშვილს ამ მხარეში დაღუპულს ქართველების მდგომარეობა აწუხებდა. იგი ძლიერ მეცადინეობდა ქართველების სასარგებლოდ, მაგრამ ბევრმა მის შრომას მტრულათ შეხედეს და სასტიკათ აღუდგნენ წინ. ამ მოწინააღმდეგეთ დასში პირველი ადგილი ეკავათ ჯავახეთის სომეხ კათოლიკეთა მოძღვრებს, რომელთაც დიდს მფარველობას უწევდა მაშინდელი კათოლიკების სემინარიის რექტორად ნამყოფი ეპისკოპოზი არარატიანცი. ამ პირის მეოხებით ჯავახეთის ქართველ კათოლიკებს ისე უცქერდნენ სომეხ კათოლიკეთა მოძღვარნი, როგორც ოდესმე განძვინებულ ოსმალ სპარსები. ამათ მეოხებით 1830 წ. ჯავახეთში სიტყვა **ქართველიც** კი იქმნა მოსპობილი და დიდის საყვედურით შეიძვენებოდა ის ქართველი კათოლიკე, რომელიც თავის თავს ქართველად აღიარებდა. ამის შესახებ ქადაგებაც იქმნა წინ წაწეული. პეტრეს წინააღმდეგ მთელი ძალა დაირაზმა. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მთელი კათოლიკეთა სამღვდლოება გადაეკიდა პეტრეს. ამ გულ მოსულ მამებს ერთხელ ასე მიმართა:

პატივცემულნო მამანო, გაძლევთ ფიცს წინაშე ღვთისა დ სამშობლოსა, რომ ჩვენ გვართ ქართველები ვართ, ამას ისტორიულის ცნობებით დავიმტკიცებთ.

– ჩვენ ოდესმე შეიძლებოდა, რომ ქართველები ვყოფილიყავით, მაგრამ დღეს სომეხ-კათოლიკენი ვართ და ჩვენ ტიბიკონზე მდგარი. მი-

– 36 –

უგეს გაჯავრებულმა მამებმა – ტიბიკონი და სჯული გვარტომობის მფარველობას არას დაუშლის, არა მამანო, საქმე ასე არ არის, გვარის უარყოფა არავის შეშვენის. დრო მოვა, როცა ჩვენი მომავალნი თვალს გაახელენ და დიდათ გვისაყვედურებენ ამაზე. მიუგო პეტრემ.

– არა ვართ ქართველნი არა, შეიტყე და გაიგე. ზმანეს არარატიანცებმა.

– მეტი რალა ნიშნებია საჭირო! არ კმარა რაც ნიშნები გვაქვს, ჩვენმა მრევლმა სომხური ენა არ იცის, სადაც ნამდვილი სომხის გვარის კათოლიკენი არიან, მე იმაზე არას მოგახსენებთ. მე ძლიერ მსურს, რომ სომეხი სომხათ დარჩეს და ქართველი ქართველად. ამას ამტკიცებს ამ ორი გვარის მეზობლური ყოფა ცხოვრება და მდგომარეობა, რომ ეს ორი ძველი საქრისტიანო ერი ერთმანეთს პატივს სცემდნენ. ჩვენც უნდა ვცდილობდეთ, რომ ეს ორი გვარი ერთმანეთს კი არ შევაძულოთ, არამედ მათში ძმურს სიყვარულს ვთესავდეთ.

– არა, არ იქნება, როგორც ჩვენს მამებს მიუღიათ ჩვენც ისე უნდა ვიქმნეთ, შეგვიჩვენებია ის ქართველი კათოლიკე და არა სომეხი, რომელიც თავის თავს ქართველად აღვიარებს. ქართველად რუსის მთავრობა მხოლოდ მართლმადიდებლებს სცნავს. ამის მეოხებით ჩვენ სჯულსაც დავკარგავთ.

ბერძნულათ „კათოლიკი“ მართლმადიდებელს ნიშნავს. მაგრამ საქმე გაჭირდა, დიდი არევ-დარევა

და მითქმა-მოთქმა მოხდა. ესენი ლათინო პატრებზე მთავრობასაც ბევრს ასმენდნენ, კათოლიკებშიაც ბევრს ქადაგებდნენ, რომ ლათინო მოძღვარნი ჩვენგან შორს დგანან და ეკკლესიში, როცა ისინი იქმნენ მწირველნი, მაშინ თქვენ ნუ წახვალთო. ამათ ასეთ განკარგულებამ რუსეთის კათოლიკეთა არხი-ეპისკოპოზამდისაც მიახწია, მაგრამ ესენი ვერას აწყობდნენ, რადგანაც სომეხ-კათოლიკეთა კოსტანტინოპოლში თავიანთ პატრიარქს მიმართეს მფარველობისათვის. პატრიარქი პაპას ავალებდა, რომ კავკასიის კათოლიკენი სომხათ ყოფილიყვნენ აღიარებულნი და მათ ეპისკოპოზათაც სომეხ კათოლიკე ყოფილიყო. პაპისგან ყველაფერი მოხერხდა, გარდა ლათინო მოძღვართ განდევნისა. სომეხთა ეპისკოპოზმა მალე შეიტყო, რომ იგი ვერაფერს აწყობდა საქართველოში. საქმე სახუმარო აღარ იყო. ადგილობრივ დაიწყო ცდა, რომ საქართველოდამ ლათინთ რომის მოძღვარნი გაედევნათ. პაპას ხელ ახლათ დაუწყეს ამბების გზავნა, რომ საქართველოში ქა-

რთველ კათოლიკებს რუსის მთავრობა არ ცნობს. თუ თქვენ ნებას მისცემთ კათოლიკებს ქართველად წოდებისას, მაშინ ძალიან ადვილად მოხერხდება, რომ ერთს დღეს მთავრობის ბრძანებით ბერძნის ეკკლესიას შეუერთდნენ, რომის ეკკლესიას საკმარის რიცხვი მოსცილდება და დაეკარგებაო. მთავრობას კიდევ სხვა ფრივ ასმენდნენ, რომ ლათინთ მოძღვართ საქართველოში ფეხის გამაგრება მიტომ

– 38 –

უნდათ, რომ ესენი ცდილობენ ქართველთა გაფრანგებასაო.

სწორეთ ამ მიზნით ქადაგებენ ქართულ ენაზე და ზოგი ერთ ლოცვებსაც ქართულათ წარმოსთქვამენო. ცილის წამებამ თავისი გაიტანა. 1844 წ. გამოცხადდა ლათინთ მოძღვართ განდევნის ბრძანება. თბილისიდან მალე განდევნეს ესენი. გორში როცა მივიდნენ გასადევნათ, ეკკლესიაში წირვა იყო. მოძღვარნი ეკკლესიაში კარგა ხანს დარჩნენ და ბოლოს, როცა ეკკლესიას გარს ჯარი შემოაკრეს, მოძღვარნი კარში გამოვიდნენ შემოსილნი, ხელში ჯვრებით. ესენი ჩასვეს ეტლში და წაიყვანეს ოსმალეთის საზღვრამდე. მთელი გორის ერი მათ უყურებდა და ქართველთა კათოლიკეთა ქალნი და კაცნი მწარედ სტიროდნენ. თუმცა გარეკეს თბილისიდან ლათინო მოძღვრები, მაგრამ აქ დარჩა ლათინო რიგის ვიკარი, რომლის მეცადინეობითაც რომის ტახტმა მალე მიაქცია ქართველთ კათოლიკებს ყურადღება და რუსეთის მთავრობასაც თხოვნით მიმართეს და აუწყეს თუ რათ იარებოდნენ საქართველოში პატრები, აუწყეს, რომ ესენი მხოლოდ თავის მრევლს პატრონობდნო, სხვა რამ საქმე მათ მიცემული არ ჰქონიათ და არც არვინ გაუფრანგებიათო. ამ თხოვნას ხელს უწყობდა რუსეთის კათოლიკეთა არხიეპისკოპოზი. მთავრობისაგან ნება მალე მიიღეს და ბრძანებისამებრ ლათინო მოძღვარნი ისევე შემოვიდნენ საქართველოში და მათ ნება მიეცათ, რომ ესენი

– 39 –

ქართველთა მეფეების დროის უფლებით დაშთენილიყვნენ.

საქართველოს მეფეების დროს საქართველოში მყოფნი ქართველ გვარის კათოლიკენი ქართველად იწოდებოდნენ, საქართველოს კათოლიკეთ მოძღვრები რომს ემორჩილებოდნენ, მათში ლოცვები და წირვის ზოგი ერთი წესები ქართულათ სრულდებოდა, და ზოგი ლათინურათ. ქადაგებას ყოველთვის ქა-

რთულად წარმოსთქვამდნენ. ოსმალეთის საქართვე-  
ლოს ქართველ კათოლიკენი კი, როგორც ზემო-  
თაც ვახსენეთ, ოსმალის სომხის გვარის კათოლიკეთ  
იწოდებოდნენ, რადგანაც ამათ ადრიდგანვე დაატო-  
ვებინეს ქართველობა. ზოგთა თქმით ამათი გადაგვა-  
რება გაკათოლიკების შემდეგ ხანას მიეწერება და  
ზოგთა თქმით იმ დროებს, როცა დასავლეთ საქა-  
რთველო ოსმალეთმა აიღო და ქართველებს გათა-  
თრება დაუწყო. ამ დროს სომხები უკვე შეჩვეულ  
იყვნენ ოსმალს ქვეშევრდომობას, მონებას და ამი-  
ტომ ოსმალნი სომხებს არ სდევნიდნენ, ამათ შიში  
არ ჰქონდათ. ქართველებს კი არ სტოვებდნენ ქა-  
რთველათ, ან სიკვდილი, ან გათათრება, ორში ერ-  
თი შთებოდა. ქართველთა ასეთის მდგომარეობით  
ისარგებლეს მრავალთა და ესენი არიგებდნენ ქარ-  
თველთა, რომ თქვენ თქვენი თავები სომხათ გამო-  
აცხადეთ და მას მერე თქვენ არავინ რას გიზამთო,  
ქრისტიანებათ მაინც დაშთებითო. ქართველთაც იწ-  
ყეს ასე მოქმედება და როცა მათ ოსმალნი ვინაო-

– 40 –

ბას ჰკითხავდნენ, იგინი თავიანთი თავებს სომხათ  
აღიარებდნენ და ოსმალნიც ათავისუფლებდნენ მათ.  
შემდეგ დროებში ქართველნი სრულიად ეთვისტო-  
მობოდნენ სომხებს. ასეთის მანქანებით ქართველთა  
გადაგვარება 1820 წლებამდისაც კი წინ მიდიოდა  
და არა მარტო დასავლეთ საქართველოს შორეულს  
ადგილებში, არამედ თვით ჯავახეთშიაც. ამაზე პე-  
ტრე ხარისჭირაშვილს გული ემღვრეოდა და ხშირად  
ზოგიერთ მტერ სასულიერო პირებთან კამათობა  
უხდებოდა. საქმე ისე მოეწყო, რომ მეორე წელს  
პეტრე ხარისჭირაშვილი ახალციხიდან სოფ. ხიზაბა-  
ვარს გადიყვანეს მღვდლათ, სადაც დარჩა რამოდე-  
ნიმე ხანს, მერე –ს. ვალეს გადიყვანეს. ასეთ გადა-  
ყვან-გადმოყვანის გამო ხარისჭირაშვილს უთანხმოე-  
ბა მოუხდა, მაგრამ საქმე დაწყნარდა. პეტრე ხარის-  
ჭირაშვილის ახალციხიდან გადასვლა ბევრს სწყინ-  
და, მით უფრო, რომ ეს მრევლში ქართულად ქა-  
დაგებდა, იყო შემბრალებელი ღარიბთა, ქვრივ-  
ობოლთა და სნეულთა. ერთის მხრით ახალციხიდან  
პეტრეს გადასვლა თვითონაც უნდოდა. ახალციხეში  
მას ეტრფოდნენ ორნი გასათხოვარნი ქალნი, ორ-  
თავეს უნდოდათ მასზე გათხოვილიყვნენ, ვისაც წი-  
ლი შეხვდებოდა. ეს პეტრეს არ მოსწონდა. რად-  
განაც იგი მონაზნებრის ცხოვრებაში ატარებდა  
დროს. იგი იყო სუფთა განდეგილი ბერი. მრავალ-  
ნი ამბობენ, რომ პეტრე შესანიშნავი თვალტანადი  
იყო. მისი სახის ხილვა ნათელს გვრიდა კაცსა,



მისი ხმა ორღანოთა ხმა და ბგერა იყოვო. ასეთი მშვენიერი მოძღვარი მთელ რუსეთში არსად იყოვო.

საკვირველი ის იყოვო, რომ ამისთანა მშვენიერი გვამს დიდი სიწმინდე და მონოზონებრივი ცხოვრება ჰქონდა ჩანერგილიო. ამაზე ყველა გაკვირვებული ყოფილა. ხიზაბავრაში და ვალეში ყოფნის დროს ეს აღმოჩნდა გლეხ-კაცების მამათ, მფარველ პატრონათ. წირვა-ლოცვას ბრძანებისამებრ სომხურათ ასრულებდა. ქადაგებას ყოველთვის ქართულად ამბობდა. ეს სათითაოდ იცნობდა ყველა მრევლს, იცნობდა ყველას ოჯახის წევრთ მამაკაცს, დედაკაცს და ბავშვებს, ბევრის სახელებიც იცოდა. ამის მრევლში მოსპობილ იქმნა ოჯახის წევრთ შორის უთანხმოება, ჩხუბი, შვილებისაგან მშობლების შეურაცხყოფა, ქმრისაგან ცოლის ცემა, ან ღალატი, ლოთობა, ლაძვა, გინება. მოსპობილ იქმნა ქელები და სხვა ასეთი საქმეები. ამის დროსვე წესათ შემოვიდა, რომ ღარიბთა ოჯახებიდგან ქალები უმზითვოდ წაეყვანათ სასიძოებს. წესად შემოიღეს აგრეთვე ყმაწვილმა კაცმა 23 წლამდის ოჯახს მოუაროს და არ იმრუმოსო. გარდა ამისა იგი ასწავლიდა მათ შვილებს წერა-კითხვას და სხვა საქმეებს, ასწავლიდა დიდროვნებსაც ისე, რომ მალე მთელს მრევლში მოიფინა წერა-კითხვა. ეს ყოველთვის თანამოზიარე იყო თავის მრევლის ჭირშიაც და ლხინშიაც და დარაგებას აძლევდა. ამის წინააღმდეგ სასტიკათ დაირაზმა სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოე-

ბა. ამათგან ახალციხეში კრება მოხდა. კრებამ გადასწყვიტა, რომ ახალციხეში სომეხ-კათოლიკეთა სემენარია გახსნილიყო და ან ალექსანდრეპოლის სასულიერო სასწავლებელი აქ გადმოტანილიყო. ამას ყველაზე უფრო საჭიროებდა ეპისკოპოზი და არარატიანი. ესენი იმედოვნებდნენ, რომ სემინარიას წმინდათ თავიანთ ნიადაგზე დააფუძნებდნენ და რადგანაც ეს ახალციხეში იქმნებოდა, კათოლიკები სიახლოვისა გამო იქ უფრო ადვილად შეიყვანდნენ შვილებს, ამის მეოხებით ადვილათ მოიფინებოდა სომხური წერა-კითხვა. ამათვე ეკედლებოდა პავლე შაჰყულიანი. არ უწყით რა მიზეზებით ეკედლებოდა მათ. ერთხელ ხარისჭირაშვილმა აი რა მისწერა:

„როგორც შენ გაყიდე შენი გვარი და სამშობლო, ესევე გინდა სხვასაც დამართო? შენ გინდა ქართველ კათოლიკენი სომეხთ შეუერთო? ეს არას

დროს არ იქმნება. შენ ამის გამო შეგაჩვენებს შთამომავლობა". ამის წინააღმდეგი პასუხი მიიღო პ. ხარისჭირაშვილმა. ეპისკოპოზი ყველგან აწესებდა სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებს, რომელნიც ეკკლესიებში სომხურათ სწირავდნენ და უქადაგებდნენ ხალხს.

– შეჩვენებულ იქმნას ის პირი, ვინც თავის თავს ქართველი უწოდოსო. ამ დრომდის თითო-ორალა ლოცვებს კიდევ ამბობდნენ ქართულად დ მის შემდეგ კი ამის უფლებაც მოესპოთ. თავის აზრის საფუძვლათ შაჰყულიანს და სხვათაც ის ჰქონდათ,

– 43 –

რომ თუ ახალციხის კათოლიკენი სომხები არ არიან, მაშ მეფების დროს რათ მიიღეს მათ სომხური ტიბიკონიო. იმას კი არ ფიქრობდნენ, თუ ქართველ მეფეები ამას რათ დაუშლიდნენ, ან რა შიში ქონდათ მისი. მაშინ ასე იყო და ეხლა როდესაც პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, ეკკლესიებში სომხურ ენის ხმარებას სულ სხვა გავლენა აქვს ხალხზე. დღეს მრავალს ისიც კი საკვირველათ მიაჩნია, რომ კათოლიკები კიდევ ქართველობენ, ეს კი არა და კათოლიკე მღებრიშვილიც კი სომეხ კათოლიკეთ აღიარეს. იმას კი არ დაუკვირდნენ, თუ მღებრი – ან მღებარი, რა ენის სიტყვა არის. თუ კი სომხის კათოლიკეებს საფუძველი ექმნებათ, რომ 1830 წ. გორში გაფრანგებული მღებრიშვილი სომეხათ აღიარონ, ნუ თუ ქართველებს საფუძველი არ ექმნებათ, რომ შუა ქართლის მცხოვრები კაცი ქართველად აღიარონო. საკვირველია ასე ძალით მოსპობა რომის ლათინთა რიგის მექონ ეკკლესიის წინაშე დამონადირებულ ქართველთათ.

რადგანაც სიტყვა გაგვარებულ შახულიანზე ჩამოვარდა, ვიტყვით აქ მასზედაც რამეს.

ახალციხეში ყოფნის დროს სხვა და სხვა წვრილმან საქმეებთა გამო შაჰყულიანი მკაცრათ ეწინააღმდეგებოდა პ. ხარისჭირაშვილს. პ. შაჰყულიანი ნამდვილი ქართველთ შთამომავალი იყო და ქართული ენის და მწიგნობრობის კარგათ მცოდნე, მაგრამ ეს დაძლეული ჰყვანდათ სომეხთ-კათოლიკებს. შაჰყუ-

– 44 –

ლიანი ქართულად სწერდა კიდევ და სხვათა შორის ამან სთარგმნა ლათინურის ენიდამ ოთხი მახარებლის თარგმანი. – ამანვე სთარგმნა პიო პაპის მეცხრეს გამოცემული კონდაკი ქართულს ენაზე იტალიანურადგან 1849 წ. კონდაკი პაპას 1848 წ.

გამოუცია. სხვათა შორის ლათინურის ენიდგან ამან სთარგმნა სახარების თარგმანი, მეტად ვრცელი, ოთხ დიდროვან ტომებათ. თფილისში ყოფნის დროს ეს თარგმანი მან ზოგი ერთ ქართველ კათოლიკეთა რჩევით მთავარ მართებელს მიართვა და დაბეჭდვას სთხოვდა. მთავარ მართებელმა ეს სიამოვნებით მიიღო და რუსეთში გაგზავნა დასაცენზორებლათ და დასაბეჭდათ, მარამ დაბეჭდვა ვერ ეღირსა, ხელთ ნაწერები საცალა დაიკარგა. პავლე შაჰყულიანი 1840 წ. მარრი ბროსეს ბევრს სწერდა და ეხვეწებოდა, რომ მას ეს ვრცელი შრომა გამოეტანა იქიდანა და დაებრუნებინა მისთვის, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ამანვე სთარგმნა და შეადგინა ვრცელი **ლექსიკონი სომხურ-ქართული** და სხვა ენებისა. ამ დიდსა და ვრცელს შრომაზე მარტოთ პავლე შაჰყულიანი კი არ შრომობდა, ამასთან შრომობდნენ სხვა ქართველ გვარის კათოლიკეთ მოძღვარნიც, მაგალითებრ: მღვდელი ანტონ ხუციანი, ხიზაბავრელი, მღვდელი ანტონ თუმანოვი, ოცხელი, მღვდელი სტეფანე იესაშვილი, ახალციხელი და მღვდელი სტეფანე ნავროზაშვილი. ეს შრომა მეტად ვრცელი და დიდი შრომა ჰყოფილა. რომ დაიბეჭ-

– 45 –

დოს, ქართულს „დაბადებაზე“ დიდი გამოვა. ამანვე სთარგმნა ორმოცეულის ქადაგება დიდ მარხვისა, ქმნილი **კარდინალის პავლე სენერიისა**. სთარგმნა წლიური ქადაგებანი, ვრცელი ტომი, აგრეთვე ეკკლესიური ცხოვრების ისტორია მეექვსე საუკუნემდე, მეტად დიდი და ვრცელი ტომი. სთარგმნა აგრეთვე ლათინურიდამ ოთხ მახარებლის ცხოვრება, ქმნილი იაკობ ვილოთისა და სხვანიც მრავალნი.

ამდენ ნაშრომთა პირის ავად მოხსენება კარგი არ უნდა იყოს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ პავლე შაჰყულიანი ტომობით ქართველი იყო. ეს მანაც კარგათ იცოდა. იგი თავის პირველის დღეებიდამ ქართველობდა კიდევცა და ქართულს ენაზე ძალიანაც შრომობდა. ბევრი რამ სთარგმნა იტალიანურის ენიდამ, ლათინურის და სომხურიდამა. ამას რომ ქართველობის სიყვარული არა ჰქონიყო, მაშინ იგი, ამდენ ვრცელ ქართულს შრომათა ხელს არ მოჰკიდებდა, მაგრამ მან იცოდა კარგათ, რომ ის ქართველი იყო და მასთანვე მთელი დასავლეთის კათოლიკობაცა და ამიტომაც სთარგმნიდა და სწერდა ქართულ ენაზე. უწყიან, რომ ესევე მშვენიერათ ქადაგებდა ქართულს ენაზეო და ერთ დროს ქართველთა პროპაგანდისტათ იქმნა ხმობილიო, მაგრამ უკანასკნელ დროებში სხვაფერ შეიცვალა ეს მოძღ-

ვარი, ჰაზრიც გამოიცვალაო და რასაც გუშინ ამბობდა ქართველთ კათოლიკეთა შესახებ, იმას დღეს დარღვევა დაუწყოვო. ამის საიდუმლოება მას თან

– 46 –

გაჰყვა, ამაზე ნახეთ ჩემი წერილი სახელდობრ „ქართველი კათოლიკენი“, სადაც დაწვრილებით არის ეს პირი აღწერილი.

ახალციხეში ყოფნის დროს პ. ხარისჭირაშვილის მოწინააღმდეგეთ გარდა დიდი თანამგრძობელიც ჰყვანდნენ. სასულიერო წოდებაშიაც კი იყვნენ ამის ჰაზრის მოზიარენი. ასეთ პირთაგანია მოძღვარი იოანე მამულოვი, დიდათ პატივცემული პირი, მოღვაწე ქართულს სასულიერო მწერლობაში და საკმარისად ამაგდარი. ამ პირმა და პ. ხარისჭირაშვილმა საქართველოში დაიწყეს ქართულს ენაზე წიგნების სთარგნმა და ბეჭდვასაც დაიწყებდნენ, მაგრამ საქმე სხვაფერ მოემართათ. პატივსაცემი და ამაგდარი ქართველთ კათოლიკეთა მოძღვარი ივანე მამულოვი, რომელსაც საქართველო, ქართველი ერი და ქართველი მწიგნობრობა და ენა დიდათ ჰყვარებია იყო ხარისჭირაშვილის დიდი თანამგრძობელი, დიდიმშრომელი.

საქართველოდამ გასული პეტრე დროებით კოსტანტინეპოლში სცხოვრებდა და შემდეგ ვენეტიკის მხითარისტებში გადასახლდა. აქ მან დაიწყო ქართველთ სასარგებლოთ ღაღადება და სომხის მხითარისტების წინაშე პატივის ცემა და სიყვარული. ამან თავის ოსტატობით და გამჭირახობით მხითარისტების ზოგი ერთი პირები დაარწმუნა მასზედ, რომ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკენიც არიანო. საქმე ისე მოაწყო, რომ ამას ზოგი ერთ უფროს მხითარისტებმა ჯეროვანი პატივის ცემა და

– 47 –

თანაგრძნობა აღმოუჩინეს. ხარისჭირაშვილმა აქ გამოაქვეყნა თვისი და ივანე მამულაშვილის შრომა და ზედვე დასძინა: ამათი დაბეჭდვის საჭიროება, რასაც მხითარისტებმა სიამოვნებით შეხედეს, რადგანაც ხსენებულთ პირთა თარგმანთ შორის ერია რამდენიმე სომხურიდამ ნათარგმნი ხელთნაწერებიც, რომლებიც ეკუთვნოდნენ სომეხთა კათოლიკეების ორს მხითარისტთა წარმომადგენელ მწერალთ ინჯიჯიანს და ზურაბიანს. მხითარისტებს ეს უფრო გაეხარდათ და ამიტომ პეტრე ხარისჭირაშვილს თხოვნის შესრულებასაც დაჰპირდნენ, პეტრეს მისცეს ერთი კარგი დიდი დარბაზი საცხოვრებლათ, სადაც

შრომა დაიწყო და წიგნებს სთარგმნიდა. მალე აქ ისე განითქვა სახელი და ისეთი პატივის ცემა დაიმსახურა, რომ მის ქართულ თარგმანთა დასაბეჭდათ ქართული ასოებიც იქმნა შეძენილი და ბეჭდვაც დაარსდა. ყველა ამის თაოსნობა პ. ხარისჭირაშვილს ეკუთვნის. როგორც ვსთქვით ზემოთ, მხითარისტებში პეტრესაგან სტამბის დაარსების საქმე არ იყო ახალი. ქართული ასოები 1800 წლებშივე შეეძინათ, მხოლოდ მცირეთ და შეუმჩნეველათ. უკანასკნელ კი ეს საქვეყნოთ მოხდა და წიგნების ბეჭდვაც გამოცხადდა. შემდეგ წლებში კი ვენეციის ქართულ სტამბის საქმე ერთობ მოუხერხებლათ შეიქმნა და როცა პ. ხარისჭირაშვილმა კოსტანტინეპოლში ქართული სტამბა დააარსა, მაშინ ვენეტიკის სტამბის ქართული ასოები სულ აქ გა-

– 48 –

დმოიტანა, რომელ ასოებიც მის პატივის მცემელ მხითარისტებმა სიამოვნებით დაუთმეს.

პ. ხარისჭირაშვილმა რაკი მხითარისტების ზოგი ერთი მღვდელ მთავრები მიიმხრო თვისკენ და ესენი დააჯერა ქართველ კათოლიკების არსებობაზე, შემდეგ სხვა ადგილებისკენ ისურვა მგზავრობა და საქართველოს და ქართველთ შესახებ საუბარი. პ. ხარისჭირაშვილმა მხითარისტებში იმ ზომამდის აიმაღლა სახელი, რომ დღევანდლამდისაც ვენეტიკის მხითარისტების სასწავლებელში არის ერთი ოთახი, სადაც მხითარისტების ბიბლიოთეკის წიგნები აწყვია და დღესაც მხითარისტების მთელი „კონგრეგაცია“ ამ ოთახს პ. ხარისჭირაშვილის ოთახს უწოდებენ. ვენეტიკიდან ეს მალე გაემგზავრა ევროპაში. პირველად მივიდა რომში, წარსდგა პაპის წინაშე და მიართვა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოს და ქართველ კათოლიკების შესახებ. მოხსენებაში მოყვანილია თუ ძველის ძველ დროიდგან რომის წინაშე როგორ იყო საქართველო ცნობილი. პაპას აღუწერა 1626 წ. რომში დაარსებულ ქართული სტამბა, იქ დაბეჭდილი ქართულა წიგნები, ქართული ენის პროფესორები ნიკოლაი ირბახი, მარიო მაჯი და იოანე, რომელნიც პაპის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლებად ითვლებოდნენ. აუწყა აგრეთვე პატრის ტულუკანთ დავითასაგან ქართული წიგნების ბეჭდვა რომში 1737-1797 წლებამდე და ბევრიც კიდევ სხვა

– 49 –

ცნობები შესახებ საქართველოს მეფეების მიწერ-

მოწერის რომის პაპებთან. პაპას დაუმტკიცა, რომ საქართველოში ქართველ ფრანგები არსებობენ. აცნობა, რომ ამ ხალხის სამშობლო ქვეყანა საქართველოა, მათი ენაც ქართულია, მათ აქვსთ თავიანთი მწიგნობრობა, ისტორია, მოქალაქეობა, მდიდარი წარსული, სულ მცირე ხანია გასული მას შემდეგ, რაც ამ ხალხმა დაკარგა თავის პოლიტიკური უფლება, რადგანაც თათრებისაგან შეწუხებულნი იყვნენ უფრო მის გამო, რომ იგინი უკანასკნელ საუკუნის დასაწყისიდან ქრისტიან ხელმწიფეებს ეკედლებოდნენ. აი მეც თვით ამ ერის წევრთაგანი ვსდგევარ თქვენს უწმინდესობის წინაშე და ვითხოვ მფარველობას, რომ ქართველთ არ წაერთვათ თავიანთი დედენა.

ქართველს შერჩეს თავის სამშობლო ენა, შერჩეს მას ის ძველი დაბრძნილი ენა, რომელ ენაზე ლაპარაკი მაცხოვრის რამდენიმე მოციქულებმაც იცოდნენ. ასეთი განსაცდელი საქართველოს კათოლიკობას არას დროს არა ჰქონია კარს მომდგარი. თვით ბარბაროს ოსმალ სპარსთა მფლობელობის დროსაც კი იგინი სარგებლობდნენ დიდის უფლებით, მაგრამ ეხლა სხვაფერ შეიცვალა საქმე, ეხლა ქართველთ აღარ უშვებენ თავიანთ ენაზე წირვა-ლოცვას, ენას სჭრიან და პირში გლეჯენ.

პაპამ დიდის სიამოვნებით მოისმინა ყოველივე ნათქვამი პეტრე ხარისჭირაშვილის, ყოველივე და-

ჭეშმარიტებით სცნა და პეტრესაც ჯეროვანი პატივის ცემა აღმოუჩინა. პაპას გარდა, ამის დიდი პატივის-მცემელნი აღმოჩნდნენ სხვა დ სხვა კარდინალები და უმაღლეს სასულიერო პირნი. პეტრე ამათგან პატივცემულ იქმნა იმდენად, რომ ის დროებით განწესებულ იქმნა ერთს დიდს ეკლესიაში, სადაც ხშირათ თანამწირველი იყო ხოლმე რომის უმაღლეს სასულიერო პირებთან ერთათ. ესეთი მაგალითი იშვიათად ყოფილა ხოლმე, რომ ქართველ მოძღვრისთვის, რომის უმაღლეს სასულიერო პირთ გვერდით თანამწირველობის ნება მიეცათ, მაგრამ ეს იყო სხვა ნიშანი და პატივისცემა, რომელიც პეტრეს აღმოუჩინეს. მას მისცეს ქადაგების ნება და ის ხშირად ქადაგებდა ხოლმე წირვაზე საქართველოს შესახებ, ქადაგებდა იტალიანურს, პოლშურს და ფრანგულს ენებზე. რადგანაც მისი ქადაგება ყოველთვის საქართველოს ერს და ისტორიას შეეხებოდა, ამიტომ სასულიერო პირნი სიამოვნებით ისმენდნენ პეტრე ხარისჭირაშვილის ქადაგებას და ქართველებს თითქმის ახლათ აღმოჩენილ ხალხათ ხადი-

დნენ პ. ხარისჭირაშვილის მეოხები. რამდენიმე ხნის შემდეგ პაპამ და მისმა კარდინალებმა ლოცვა-კურთხევა და დახმარება მისცეს, დაჰპირდნენ ყოველ შემწეობის აღმოჩენას, ოღონდ შენ კი ამ ერის საქმეს ხელი მოჰკიდებო; სასწავლებელი დაარსდეს და ამ სასწავლებელში მათთვის მოძღვარნი ქართულს ენაზე გამოიზარდნენო. შემდგომ ამისა პეტრე ხარისჭირაშვილი

– 51 –

რაშვილი რომიდგან განემგზავრა მთელს ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებში და პაპის მეოხებით ყოველ სახელმწიფოს უმაღლეს სასულიერო პირებთანაც თავისუფლად წარსდგებოდა და მოახსენებდა ქართველ კათოლიკეთა შესახებ ისტორიას. მას ყველგან აძლევდნენ ეკკლესიებში წირვის და ქადაგების ნებას. ევროპიულს ენებზე ჰქადაგებდა საქართველოს კათოლიკეთა შესახებ. ასეთ ქადაგების მეოხებით მთელს ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოების უმაღლეს სასულიერო პირნი ჯეროვან ყურადღებას აპყრობდნენ. პ. ხარისჭირაშვილმა თავის მეცადინეობით და შრომით ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოთ შორის შეკრიბა საკმარისად დიდი ფული. ეკკლესიებში ქადაგების გარდა, ევროპიულის საეკკლესიო და საერო გაზეთების საშუალებით ამან ბევრი ცნობები მოჰფინა საქართველოს და ქართველ კათოლიკეებზე.

სხვათა შორის ერთს წერილში შეეხო, რომ პოლშაზე მოცლილნი დღეს საქართველოზე იმარჯვებენ, იქ კათოლიკებს ართმევენ ეკკლესიებს და სხვებს აძლევენო. ასეთსავე დღეში არიან ჩაცვივნულნი არა ქართველ-კათოლიკენიც. ასეთივე ჰაზრი გაუტარებია მამა ოგუსტ დარასის, რომელმაც საქართველოს შესახებ წერილები დასწერა, ბევრი რამ ისტორიული ცნობები ქართულიდგან ფრანგულათ გადასთარგმნა. მან დასწერა ფრანგულს ენაზე წმ. ნინოს ცხოვრება, რომელიც 1874 წ. ქართულა-

– 52 –

დაც დაიბეჭდა „დროებაში“. ამის ცნობების შესახებ ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ. ასეთივე ჰაზრები გატარებულ იქმნა 1885 წ. რომის სასულიერო სურათებიან გაზეთში „ვეს მისიონ დე კოლეჟში“, სადაც დაბეჭდილია საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომელიც შეუდგენია ტრაპიზონში მყოფ ვიც-კონსულს მარენგოს, სხვა და სხვა ლათინთ მოძღვართ ცნობებიდგან, რომელთაც საქართველოში უმგზავრიათ და საქართველოც სხვა და სხვა ცნო-

ბეჭდით აღუწერიათ. ამ აღწერაში სხვათა შორის დაბეჭდილია გაბრიელ ეპისკოპოზის სურათიც, აქ მას დიდათ აქებენ. ამ აღწერაში ყველგან ქართველად იწოდებიან კათოლიკენი.

ასევე მოიხსენა ქართველ კათოლიკენი 1890 წ. თფილისში კათოლიკეთა მოძღვარმა, პატივცემულმა ალფონს ხითარიშვილმა, როცა თფილისში იტალიის კაროლის მემკვიდრე მოვიდა და ეს თფილისის კათოლიკეთა ეკკლესიაში წირვას დაესწრო. წირვაზედ მოწაფენი ქართულათ გალობდნენ. აქ იყო მთელი თფილისის მოწინავე საზოგადოება. პატრმა ფრანგულათ სიტყვა წარმოსთქვა და კაროლის მემკვიდრეს აუწყა საქართველოში მყოფ ქართველ კათოლიკეთა ისტორია, ენა და გალობა. კაროლს დიდათ მოეწონა ქართული გალობა. პატრმა ქართველ გვარის კათოლიკეზათ აღიარა საქართველოში მყოფი კათოლიკენი. ამისთანა ცნობების მოყვანას რომ გავყვეთ, ეს მაშინ ერთობ შორს წავა. პეტრე

– 53 –

ხარისჭირაშვილის შემდეგ ამის შესახებ ქადაგება და ღაღადება ხშირათ გაისმოდა; არამც თუ აქა იქ ეკკლესიებში, არამედ გაზეთებშიაც, წიგნებშიაც და სხვა მოხსენებებით. ყოველივე ამის დასაწყისის ძირი პირდაპირ პეტრე ხარისჭირაშვილის შრომას და მეცადინეობას მიეწერება. ამ ჰაზრების გასავრცელებლად შემდეგში თითქმის სულ მის მოწაფეები აღმოჩნდნენ. პეტრე ხარისჭირაშვილმა პირველად იტალიაში დააარსა ქართული მონასტერი, სახელწოდებით „ივერიის ღვთის მშობელი, უმანკო შთასახებისა“, რომელსაც დიდი შეწირულება მისდიოდა სხვა და სხვა უმაღლეს სასულიერო პირებისაგან. ამავე სახელწოდებით დაუარსებიათ ქართველთათვის ძმობა რომში, მაგალითებრ XVII საუკ. და XVIII საუკ. ქართული დაბეჭდილი წიგნებიც ამ ძმობისაგან არს დაბეჭდილი. პატრი ტულუკაანთ დავითაც ამ სახელწოდებით მოახსენებს იმ დროის ქართველ კათოლიკეთა წიგნთა მბეჭდავთა ძმობას „უმანკო შთასახების ძმობა“ ქართველთა გვარის კათოლიკეთა. 1737 წ. ქართულად დაბეჭდილს აღსარების წიგნსაც ასე აწერია. პეტრემ მონასტერს საკმარისი ძალა და შეძლება მოუპოვა, მაგრამ მისი სიშორე კი ერთობ აბრკოლებდა საქმეს. ამიტომ აქ სამუდამოთ ბინადრობას თავი გაანება, პაპისაგან ლოცვა-კურთხევა და მფარველობა აიღო და კოსტანტინოპოლში გადასახლდა, აქ განიზრახა ეკკლესიის გაკეთება, სასწავლებლის და სტამბის დაფუძვნება ქართულის



წიგნების დასაბეჭდათ, რომელსაც ის დიდის ხნის წინეთ ფიქრობდა. ამისთვის მან მალე შეიკრიბა ძალ-ლონე და სტამბოლის ერთს მხარეში მოიპოვა საკმარისი ადგილი. აქ გააკეთა ქართველ კათოლიკეთა ეკკლესია წმ. იოსების სახელზე, შეკრიბა ქართველთა მონოზნები და დააფუძვნა ქართველთა „მმობა“. მანვე დააფუძვნა კოსტანტინეპოლს ქართველთა მონოზანთა მონასტერი. მონასტერში განწესდნენ სასულიერო პირნი. აქ ისინი ქართულად ასრულებდნენ ყოველს საეკკლესიო წესს და რიგს.

საქმე კარგათ წავიდა. პეტრე ხარისჭირაშვილს მთელი კოსტანტინოპოლის ქართველობა ემადლიერებოდა სტამბოლში ქართულ ეკკლესიის გაკეთების და შიგ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის დაწყების გამო. ეკკლესიის გვერდით მალე სასწავლებლის შენობის კეთებაც დააწყებინა და ეს სხვათა დახმარებით მალეც აღაშენეს. სასწავლებლისათვის შეიძინა ყველა საჭირო ნივთები, წიგნები, სხვა და სხვა სახმარი საჭიროებანი და სახელმძღვანელოდ მოამზადა ქართული წიგნები, თითქმის ყველა საგნების შესახებ. სკოლის გახსნის ნებაც მალე მიიღო და 1865 წელს ჯავახეთის ქართველებს აუწყა, რომ კოსტანტინეპოლში ქართველი გვარის კათოლიკეთა შვილების აღსაზრდელად დავაფუძნე მონასტერი, მასთანვე გავხსენ სასწავლებელი და ამიტომ მოგწერთ თქვენ, რომ დღეის შემდეგ ქართველ კათოლიკეთა შვილებს აქ გამოგზავნიდეთ სასწავლებლათ, აქ ის-

წავლიან თავიანთ სამშობლო ენას, მასთან სხვა და სხვა ენებს. სწავლის დამთავრების შემდეგ ვინც სასულიერო წოდებაში ისურვებს შესვლას, ის რომში წავა, პაპის უმაღლეს სასწავლებელში; იქ სწავლას დაამთავრებს, მერმე მღვდლათ შეიმოსება და დაბრუნდება საქართველოში. წამსვლელთა ყმაწვილებით რიცხვი 60 იყო დანიშნული, 30 ყმაწვილი ობოლი, უპატრონონი და 30 პატრონიანი. ყმაწვილები იქ მალე იქმნენ გაგზავნილნი. პირველს წელიწადსვე 100 ყმაწვილზე მეტი მოგროვილა სასწავლებლათ; მასწავლებლათ ქართველთა კათოლიკე მოძღვარნი იყვნენ, რომელთაც სწავლა ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში მიეღოთ. პირველ დაწყებით ესენი მოსწავლეებს ყველა საგნებს ქართულს ენაზე ასწავლიდნენ და შემდეგ წლებში სხვა და სხვა ენების სწავლასაც აწყებინებდნენ, მაგალითათ: ფრანგულს, იტალიანურს, ბე-

რძნულს, ლათინურს, სომხურს და ოსმალურს, ასწავლიდნენ ყველა სამეცნიერო საგნებს, ხელთნაწერის სახელმძღვანელოებით. ზედმიწევნით ასწავლიდნენ ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, საქართველოს ისტორიას, ქართულს ძველისა და ახალის მწიგნობრობის ისტორიას. ასწავლიდნენ ქართულ გალობასაც, ეკკლესიაში სამსახურს და ყველა საჭირო საგნებს. მოწაფეებში თუთხმეტი წლისაზე ნაკლები არავინ მისულა და ყველა ამათ წერა-კითხვაცა სცოდნიათ. მოწაფეები ყველა საგნებს ჩინებუ-

– 56 –

ლათ ითვისებდნენ და სწავლობდნენ. აქ ესენი ისე უნდა მოემზადებინათ, რომ შემდგომ აქაურის სწავლის თავისუფლათ შესძლებოდათ მათ შესვლა ევროპის სხვა და სხვა სასწავლებელში, რადგანაც მოწაფეებში მრავალნი აღმოჩნდნენ, რომლებიც ბერობას არ ინდომებდნენ და რომის სასულიერო სასწავლებელში შესვლას.

პეტრე ხარისჭირაშვილი და მისი ამხანაგები მოწაფეებს დიდს მფარველობას უჩენდნენ, დიდს მამობრიულს მზრუნველობას და პატრონობას. ესენი მათ ისე უმზერდნენ და უვლიდნენ, როგორც თავიანთ ღვიძლ შვილებს, თავიანთ სისხლს და ხორცს, თავიანთ ქვეყნის და ტომის წევრთ. მოწაფეებს ესენი ინახავდნენ სუფთათ, სუფთა ოთახებში, სუფთა სასმელ-საჭმელი, სარეცხი და თავის დროს შესაფერი ტანთსაცმელი. ისე ჩინებულად ინახავდნენ, რომ რაც ხანი სკოლა არსებობდა, ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ მოწაფე ავით გამხდარიყოს და მომკვდარიყოს. პეტრე ხარისჭირაშვილმა და მისმა ძმათა მოძღვრებმა თავიანთის მამაშვილურის მოქმედებით დიდი ყურადღება მიიპყრეს საზოგადოებისაგან. ქართველ კათოლიკეებს გარდა მათ უცხოელნიც კი სცემდნენ პატივს. ბევრნი დახმარებას და პატივისცემასაც უჩენდნენ და უცხადებდნენ. ამათ ღირსებას და პატივს ხალხის თვალში ის უფრო ამალლებდა, რომ მათ მეტათ წყნარი, სუფთათ ცხოვრება ჰქონდათ. რაც ხანი გადიოდა, მით მონასტრის

– 57 –

და ეკკლესიის საქმე ერთობ კარგათ მიდიოდა. სასწავლებელი ცნობილ იქმნა თვით ოსმალს მთავრობის წინაშე, როგორც სასარგებლო სკოლა. ამათ ჯეროვან პატივს სცემდა სომეხ-კათოლიკეთა სტამბოლის პატრიარქიც, თუმცა ბევრს სომხის კათოლიკეებს ეს ძრიელ სწყინდათ და ბევრნიც ცილს და

და სხვა და სხვა ბოროტებას სწამებდნენ პეტრე ხარისჭირაშვილს, მაგრამ ეს არვის ყურს არ აპყრობდა, მოქმედებდა თავისთვის, წყნარათ და მეცადინეობდა, რომ ევროპაში იგინი ცნობილ გამხდარიყვნენ. ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებს ქართველი კათოლიკები ეცნათ, მათი სამშობლო ქვეყანა, ენა, ისტორია, მწერლობა და ქართული ეკლესია. სხვათა შორის 1876 წ. ფრანგულ გაზეთ „ინდეპენდანტ ბელგიეში“ აი რას სწერდნენ: „ცხრამეტ მარტს, 1876 წ. წმ. იოსების დღესასწაულის დროს დიდძალი ხალხი დაესწრო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში ქართულს ენაზე წირვას. სხვათა შორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებისა და მონსიონერი კრასერი, არხიეპისკოპოზი დეკლოსერი, ვიკარი ტესტა და სხვანი. წირვის დროს ქართულად გალობდნენ, ქართული გალობა საამო სასმენელი ყოფილა. წირვის შემდეგ ამ ქართველთ ეკლესიის დამფუძნებელმა უფროსმა პეტრე ხარისჭირაშვილმა და ერთმა სხვა პატრმა სიტყვა წარმოსთქვეს ქართულად: ამ შესანიშნავს მონასტერთან გამართულია ორი სკოლა

– 58 –

ერთი სავაჟებო და მეორე საქალეზო. რომლებშიაც მოსწავლეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგნებს, ეს სკოლები ამ თხუთმეტი წლის წინათ არიან დაფუძნებულნი. ამ ჟამათ ამ სკოლაში 160 ყმაწვილი სწავლობს, თითქმის ყველა ქარველები არიან, თუმცა მცირედ ბერძნები და სომხებიც ურევინ, რომლებიც აგრეთვე ქართულსა სწავლობენ. ამ პატარა წრეს კონგრეგაციას (ძმობას) დიდძალი ფული აქვს შეკრებილი. მიზანი ძმობისა არის ნაციონალურის გრძობების აღძვრის საშვალეებით კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება ოსმლეთის გამკმადიანებულ ქართველებში და სხვანი“.

სტამბოლის ქართულ ეკლესიაში ქართულს წირვა-ლოცვის შესახებ და სასწავლებლის და სტამბის არსებობაზე მარტოთ „ინდეპენდანტ ბელგიეში“ არ ყოფილა ცნობა. რომის გაზეთებშიაც ხშირათ ბეჭდავდნენ ქართველ კათოლიკების ენის, სასწავლებლის, სტამბის და წიგნების ბეჭდვის შესახებ. ბროსე ამათ დიდს პატივს სცემდა. 1877 წელში ბროსესაგან თვით მე მივიღე წერილი, რითაც ეს კოსტანტინეპოლში დაბეჭდილს წიგნებს თხოულობდა დიდის მუდარებით და თხოვნით და პეტრე ხარისჭირაშვილსაც დიდის პატივით იხსენიებდა. კოსტანტინეპოლში ყველამ იცოდა, რომ იქ არის ქართული ეკლესია, სადაც სამღვდელი პირნი ქარ-

თულად იმოსებოდნენ და ქართულათვე სწირავდნენ. რომის ტახტის წინაშე ცნობილ იქმნა ქართველ

– 59 –

კათოლიკობა, მათი ენა და გვარტომობა, ეს კარგად ცნობილ იქმნა თვით სომხის მხითარისტებთაგანაც, რადგანაც ამათ ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობა დაჭეშმარიტებით დაინახეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს ისევ უარ ჰყვეს მათ და დღეს მათ ქართველ კათოლიკობა სომხათ მიაჩნიათ. კოსტანტინეპოლში ქართველთა მონასტერი მარტოთ მონასტრათ არ ითვლებოდა, იგი ერთის მხრით თავშესაფარ სახლათაც იყო საქართველოდგან მოგზაურთ ქართველთ ღარიბთ და გაჭირვებულთათვის. აქ ესენი ქართველ გვარის კაცს ყოველნაირს დახმარებას აძლევდნენ და პატრონობდნენ. ამათ ბევრს გაჭირვებულს ქართველთათვის მიუციათ დახმარება, ბევრი შიმშილისაგან დაუხსნიათ. ბევრის სწეულ მოგზაურთათვის მიუციათ სადგომი, ულუფა, სამგზავრო ფული და თვის სამშობლოში გამოუსტუმრებიათ. ამ პირთა კაცთმოყვარეობით გატაცებულიყო ერთი ჩვენი თანამეკევენი, რომელიც ამათთან სცხოვრებდა კარგა ხანს და რუსულ-ქართულ-ფრანგულს ლექსიკონის შედგენაზე მუშავებდა. მაცხოვრის სიტყვას და ქრისტიანობის მოძღვრებას ესენი მტკიცეთ ასრულებდნენ. მოყვასთა სიყვარული და მფარველობა ამათ გულში მოზღვავებული იყო, ნამეტურ ქართველ გვარისადმი. ამის მხრით ესენი პატივის ღირსნი არიან მთელის ქართველობისაგან.

ხსენებულის სასწავლებლის საშუალებით პეტრე ხარისჭირაშვილმა გამოზარდა რამდენიმე ყმაწვი-

– 60 –

ლი, აქ სწავლა განათლება მიიღეს, ნამეტურ საღმრთო ეკკლესიის მსახურებაში. ყველა ესენი ქართველები იყვნენ და მიტომ ყველანი ბერათ იქმნენ შემოსილნი და საფრანგეთში გაგზავნილნი, მონთობანში, სადაც აგრეთვე დაარსებულ იქმნა ქართველ კათოლიკეთა ძმათა მონასტერი, სასწავლებელი და შემდეგ დროებში ქართული სტამბაც. მონთობანის ქართველთ მონასტერში ყოფნის შემდეგ რაკი საღმრთო საგნების ცოდნა, ნამეტურ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის წესების აღსრულება, გალობა და ქადაგება კარგად ეცოდინებოდათ, შემდეგ ესენი აქედამ რომელიმე უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, აქვე შეიმოსებოდნენ ბერათ, უკანასკნელ უნდა და-

ბრუნებულიყვნენ საქართველოში, ქართველ კათო-  
ლიკობის სახელწოდებით უნდა ემსახურნათ ერისა-  
თვის და მასთანვე ემეცადინათ დიდათ, რომ საქა-  
რთველოს კათოლიკობა განათლებით ფეხზე დამდ-  
გარიყო და ამათგან შექმნილიყო ძლიერი დასი,  
ძლიერი გუნდი ქართველ გვარის ვაჭარ-მოქალაქე-  
ბისა და მოქალაქურის ჰაზროვნების პატივისმცემე-  
ლთა, ბევრი ამ პირებთაგანი შესულ იქმნენ რომში,  
პაპის უმაღლეს სასწავლებელში „პროპაგანდო“-ში,  
სადაც დაამთავრეს სწავლა. ზოგ ამათგანმა სხვა და  
სხვა საგნების დოქტორობის ხარისხიც მიიღეს, ზო-  
გი მათგანი ევროპის უმაღლეს სასულიერო სასწავ-  
ლებელში პროფესორად იყვნენ დანიშნულნი, მაგ.

– 61 –

ლოლიკის, ღვთისმეტყველების, საღმრთო ფილო-  
სოფიის, ისტორიის და სხვებ.

პეტრე ხარისჭირაშვილისაგან განკაცებული მა-  
მებით მოფენილია მთელი ევროპა, ზოგი ბოლგა-  
რიაში სცხოვრობს, ზოგი იტალიაში, საფრანგეთში,  
რუსეთში, ოსმალეთში და ჩინეთშიაც კი. ასეთ პი-  
რთა ცნობა მე თვით მაქვნდა. ანდრიანოპოლში  
დღესაც სცხოვრობს ერთი პატრი, პატივცემული  
ათანასე ნასყიდოვი, ანდრიანოპოლის ეპისკოპოზის  
თანაშემწე და იქაური სკოლების უფროსი, ორნი  
ჩინეთშიაც არიან წასულნი საქადაგებლად, რომელ-  
თაც ერთ დროს პარიზში ვრცელი საქართველოს  
რუკა შეადგინეს, ფერადის წამლებით, სადაც ყოვე-  
ლივე საქართველოს ადგილები დაწვრილებით იყო  
აღნუხსნული. 1879 წ. ამა მმთაგანნი იტალიაში  
გაეზაასნენ ზოგი ერთ ფრანგულ გაზეთებს, რომ-  
ლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველო არაფერია,  
მტკვრის დასავლით და სამხრეთი მხარე სომხეთია,  
ქართველებს არაფერი აქვსთ, ისტორია, მწერლობა,  
ენა, მოქალაქობა. იგინი კავკასიაში არაფერ ძალას  
შეადგენენ, მათზე ბევრათ მაღლა სომხები სდგანან.  
ესენი მათზე ბევრათ ჭკვიანნი და მოხერხებული  
ხალხია, მათ ყველაფერი აქვსთ, ეწა, მწერლობა,  
მდიდარი ისტორია; ხალხიც მეტია, კაპიტალი, ვა-  
ჭრობაც ამათ ხელშია, მოქალაქობაც ამათია, ქა-  
ლაქებიც მათ განაშვენეს.

ყველა დიდი მამულები მათ ეკუთვნისთ. ევ-

– 62 –

რობის სახელმწიფოებმა კავკასიაში მთავარ ერთ ეს  
ერი უნდა იცნას და არა ქართველნიო. ამას პასუ-  
ხი მისცეს ზემოხსენებულ პირებმა, მასალებს აქე-

დგან თხოულობდნენ და ნამეტურ ავალეზდნენ ყველა სასაგან პატივცემულს ქართველს მწერალს მამა ივანე გვარამაძეს. იწერებოდნენ: „მამა ივანე (ვინმე მესხს) ჩვენი საქმე ცუდათ იქნება, საქართველოდგან გუდა-ნაზადი აიკიდე და იალბუზისკენ წადი, რადგანაც საქართველო სომხეთი ყოფილა, ქართველების არაფერი ყოფილა, არც არაფერი ჰქონიათ!“.

ასეთივე კითხვების პასუხი 1882 წ. პატივცემულმა ივ. გვარამაძემაც დაბეჭდა სტამბოლში, რომელსაც სახელათ ასე აწერია „მზა პასუხი სომხურ გაზეთ „მშავს“ ბატარა წიგნია. პეტრე ხარისჭირაშვილი მოესწრო თავის აზრების აღორძინებას და ნაყოფის დანახვას მან დაბადა ქართველ კათოლიკეებში ის ჭეშმარიტი აზრები, რომ ისინი გვარტომობით ქართველები არიან, მათი სამშობლო ქვეყანა საქართველოა და ენაც ქართულია. ამ ჰაზრის მექონი ქართველთ კათოლიკეთა მხურვალე მოძღვარნი მან მალე ნახა, იმასაც მოესწრო, როცა ახალ მოძღვართა ხმა მალა დაიწყეს კათოლიკეებში ქართველობის შესახებ ლაპარაკი, ეკლესიებში ქართული ენის საჭიროება, სადაც კი შემთხვევა ნებას მისცემდათ, იქ ესენი ქართველ კათოლიკეების შესახებ ქადაგებდნენ იტალიანურს ენაზე, ფრანგულს, პოლშურს, ნემეცურს, ოსმალურს და სომხურს ენებზე.

– 63 –

ერთი სიტყვით ესენი გახდნენ ქართველ გვარის წარმომადგენელათ ევროპაში და მათთვის რომ გარემოებას ხელი არ შეეშალა, მაშინ ესენი ოსმალეთში ქართველების დიდს ძალას შექმნიდნენ, ოსმალეთის გამაჰმადიანებულს ქართველობასაც გააქრის ტიანებდნენ და კოსტანტინეპოლში დაარსდებოდა ქართველთ მეცნიერების მეძიებელთ მოძღვართა ძმობა, მსგავსად სომეხ მხითარისტების.

ქართველთა გუნდიც შექმნიდა თავისებურ ძალას და ესენი ქართველთა გვარის შესახებ მოქმედებას დაიწყებდნენ, რადგანაც ხსენებულ მოძღვართ თავიანთ დიდს პატრიოტობას და საღვთო ცოდნას გარდა სხვა ბევრი რამ ხელობის გაგება და განვითარებაც ჰქონდათ, მაგ. ბეზიობის, ექიმობის, წამლების კეთების და მასწავლებლობის. გარდა ამის იგინი შემოსილნი იყვნენ ყველა იმ ღირსებაებით, რაც კი ხსენებულ საქმეების აღორძინების დროს ამათ აუცილებლათ დასპირდებოდათ. არავინ იფიქროს, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი მარტოთ მონოზნებრივის ცხოვრებისაგან ყოფილიყოს გატაცებული, მარტოთ კათოლიკობისთვის ემეცადინოს და ეღეაწოს, რომ ეს უკანასკნელი გავრცელებულიყო

ქართველებში. არა, ერთსა და იმავე დროს არის დიდი ნაციონალისტი, საქართველოს დიდი მამულისშვილი, ისეთი პატრიოტი, რომელსაც მთელს ქართველს სამღვდელოებაში ცალი არვინ ჰყავს.

ვინმე მესხმა ჩინებულათ და ჭემმარიტათ სთქვა

– 64 –

ასე: – „ეკალში ვარდი ამოვა, რმუსხმულში და წყლის ნაპირებზე შროშანი, მინდორ ველზედა ყვავილი. ჩვენს გაღატაკებულს დროშიაც ხომ აღმოგვიჩნდა პეტრე ხარისჭირაშვილი“. ჭემმარიტათ, რომ აღმოგვიჩნდა კაცი, რომელმაც კაცურის ღირსებით განვლო თვის ქართველური ცხოვრება, აღმოჩნდა კაცი, რომელმაც ქართველებს დაუმტკიცა ქართველობა, დაუმტკიცა ქართველთ თვის უზომო სიყვარული და პატივისცემა. ქართველთ ასწავლა შრომა, საქმის სიყვარული და გვარის სასარგებლოთ დაულაღვათ მუშაობა.

ამ ჰაზრების გავრცელებისთვის ეკლესიებში ეს ქადაგება ფრანგულს ენაზე, იტალიანურზე, პოლშურზე, სომხურზე, ოსმალურზე, ბერძნულზე და კოსტანტინეპოლში ხშირათ ქართულზედ. ამას ყოველთვის საქართველო აგონდებოდა, ქართველთ გვარი და მარტოთ ქართველთ ვითარება. ეს ქართველობის მოხსენებით ემუდარებოდა ევროპის კათოლიკეთ სამღვდელოებას, ქართველების სახელით წარსდგებოდა ოსმალეთის მთავრობის წინაშე, სადაც მას მეტათ დიდს პატივსაც ამღევდნენ. ევროპიულს და აზიურს ენებზე თავისუფლათ საუბრობდა. იგი იყო ევროპიულათ გაზრდილი მოძღვარი და მუდამ საქართველოს საქმეებზე მოლაპარაკე.

მაგალითად ეს ადრიდგანვე გრძნობდა ქართულ მწერლობის სიღატაკეს, ეს სიღატაკე მან კარგად იცოდა, ყოველ ქართულს გაზეთს, ჟურნალს და

– 65 –

წიგნს დიდის გულის მოდგინებით ჰკითხულობდა, ნამეტურ თვალყურს ადევნებდა საქართველოს სახალხო სკოლების მდგომარეობას და სიღატაკეს წიგნების მხრივ. ამიტომ ამის შესახებ ფიქრებს ადრიდგანვე მიეცა და დაიწყო ამაზე ზრუნვა, უკანასკნელ იმაზე მივიდა საქმე, რომ მან კოსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სკოლის გახსნის შემდეგ, იმავე სკოლის დი ეკლესიის გვერდით დააფუძნა ქართული სტამბა, ჩამოასხმევიანა სრულიად ახალი ყალიბები, ვენეციის ასოს მინაგვარათ, მაგრამ საკმარისათ თავის ხასიათის მექონი, შეიძინა ყოვე-

ლივე იარაღი სტამბისა და 1870 წ. უკვე გახსნა სტამბოლში ქართული სტამბა. ვენეციიდანაც აქ გადმოიტანა ქართული ასოები, რადგანაც იქ მან მოუხერხებლად დაინახა ქართული წიგნების ბეჭდვა, ვენეციიდან ამან ქართული ასოები სულ გადმოიტანა, ისე რომ იქ აღარაფერი დასტოვა.

სტამბის გახსნა მრავალთათვის გახდა სასიამოვნოთ და ამის შესახებ იმ დროის ბევრს სხვა და სხვა გაზეთებშიაც სწერეს. სტამბაში მუშაობა დააწყებინა თავისავე მოწაფეებს და ძმებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ფრანციის ქალაქ მონთობანშიაც დააარსა ქართული სტამბა, სადაც წიგნების ბეჭდვაც დააწყებინა. აქ უკვე გამოიცნენ ქართული წიგნები. ამ სტამბაშიაც ის მოძღვარნი მუშაობდნენ, რომელნიც კოსტანტინეპოლში იყვნენ გაზრდილნი და უკანასკნელ მონთობანის მონასტერში გადმოსულ-

– 66 –

ნი. ამ სტამბის შესახებაც ბევრ გზის უწერიათ იმ დროის ფრანგულს გაზეთებში, დიდათ აქებენ პ. ხარისჭირაშვილს. ყველას უკვირდა პეტრეს ასეთი დაულალავი შრომა და განუდრეკელი ენერგია, რომ მან ქართული სტამბები დააარსა: იტალიაში, ფრანციაში და ოსმალეთში.

პეტრე ხარისჭირაშვილმა ევროპაში გადასახლების შემდეგ იტალიაში, ფრანციაში და ოსმალეთში დაარსებულ ქართულ სტამბებში დაბეჭდა შემდეგი წიგნები, ზოგი თავის ნაშრომი და ზოგიც სხვების, კათოლიკეთ მოძღვრის ივანე გვარამადის და ივანე მამულოვის.

– „ისტორია გინა მოთხრობა ძველისა და ახლის ახთქმისა“ ქმნილი სომეხ მხითარისტ იოანე არქიმანდრიტ ზურაბიანის მიერ. თარგმნილი სომხურის ენიდგან და დაბეჭდილი 1858 წ. ვენეტიკში, წიგნთა საბეჭდავთა შინა წმ. ლაზარეს მონასტრისა. 875 გვერდი. წიგნის დამწერი მხითარისტ ზურაბიანი ტომობით ქართველი ყოფილა, ძველათ გაფრანგებული და კოსტანტინეპოლში გადასახლებული, სადაც შემდეგ დროებში სომეხ-კათოლიკეთ იქმნენ წოდებულნი და უკანასკნელ დაკარგეს ენა და გვარტომობაც ქართული. ამ ვრცელი თარგმნის წინასიტყვაობაში ერთ ალაგას ასე სწერს პ. ხარისჭირაშვილი. – „თუმცა დიდათ ძნელი იყო ესე ჩვენთვის, რამეთუ არა გყავდა ჩვენ ამა საქმისთვის ვინმე შემწე და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქა-

– 67 –



რთულის ენის მცოდნე, გარნა რა ვხედავდით ვითარმედ ამა ოქროს საუკუნესა შინა, თითქმის ყოველთა ნათესავთა ენათა ზე დაიბეჭდებიან ფერად ფერადი სამეცნიერო დ სიბრძნის წიგნნი, ამის გამო ფრიად სასარგებლოთ ვრაცხეთ ქართულს ენაზედ წიგნების დაბეჭდვა, აწ სასოებით ვითარმედ წრფელ ჰაზროვანს კეთილის მსურველს და გულს მოდგინეს მოღვაწებსა ამასა ჩვენსა, კეთილათ მიიღებს საქართველო, თვისთა ჩვეულებითი კეთილშობილებრივი გულკეთილობითა, რომლით უქმათ არა გაატარებს შრომასაცა ამასა ჩვენსა, რომელნი რადგან ვართ მარად მსურველნი და მეძიებელნი ბედნიერებისანი. ხილვით რომელ შრომითა ამით ჩვენითა სარგებლობს საქართველო დიდათ განცხრომათ ყოფათ არს იგი ჩვენთვის.“

**„წმინდანების ცხოვრება“**, ქმნილი სომხურს ენაზე არქიმანდრიტის ლუკა ინჯინჯიანის-მიერ, თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა, ვენეტიკს, 1859 წ. წმინდა ლაზარეს მონასტრის სტამბაში; ორ ტომათ, დამწერი ამ წიგნისა მხითარისტ ინჯიჯიანი არის – ქართველ ტომის ჩამომავალი, ლივანაში ძველათ გაფრანგებული, შემდეგ სტამბოლში გადასული, იქ სომხის კათოლიკეთ წოდებული, შემდეგ ამათ სრულიად დაკარგეს გვარტომობა. არქიმანდრიტ ინჯიჯიანს უმოგზაურნია, დასავლეთ საქართველო, აღუწერია დაწვრილებით და ვენეტიკში ხშირათ უბეჭდავს თვისი წერილები, მის-

– 68 –

მა წერილებმა დიდი ყურადღება მიიპყრეს ევროპის ორიენტალისტთა შორის და სენ მარტენის თხოვნით. ზოგი ამის წერილები საქართველოს და სომხეთის შესახებ ფრანგულს ენაზედაც იქმნენ გადათარგმნილი.

**„იგავნი იეზუპოს ფილოსოფოსისა“** თარგმნილი და გამოცემული სასარგებლოთ ივერიისა. ორ ტომათ, ვენეტიკი, 1859 წ. წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბაში.

**„გეოგრაფია“** რომელი არს მოთხრობა ქვეყნისა და მასშინა მყოფთა მთავართ ნათესავთა ვითარებათა და ყველაფერთა ჩვეულებათა სასარგებლოთ, თუ ნათესავისა ჩვენისა და თუ მთელის ივერიისა. ვენეტიკი, 1859 წ. წმ. ლაზარეს მონასტრის სტამბაში.

**„გზა ცხოვრებისა“** ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებისა, ზედ სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლათ და ერის კაცთა საკითხავათ და ფიქრის ლოცვის შესასრულებლათ. ქმნილი მქადაგებლის ალფონს ლიუგორის მიერ, თარგმნილი გერმანული-

დგან. ვრცელი ტომია. დაიბეჭდა კოსტანტინეპოლს, 1878 წ. პ. ხარისჭირაშვილი სწერს ამ წიგნის წინასიტყვაობაში ასე: – „აღფონს ლუგორი გამოჩენილი მქადაგებელია, ამის ქადაგებანი გერმანიულიდგან ყველა ევროპიულს ენებზედ სთარგმნეს და დაბეჭდეს და ვსთარგმნეთ ქართულს ენაზე“.

„გვირგვინი წამებულთა“ წმ. ესტატეს ცხოვრება ლექსათ, კოსტანტინეპოლს, გალექსილი მღ.

– 69 –

იოანე გვარამაძის. გამოცემა პეტრესი.

„ყვავილოს კონა ყრმათა“ გინა რჩეული ლექსები, ორ ნაწილათ გამოცემული პ. ხარისჭირაშვილის მიერ, კოსტანტინეპოლს 1878 წ.

„წინამძღვარი ზეცისა“, გინა ყოველ წოდების სახმართათ სულიერი დარიგებანი, კოსტანტინეპოლს 1876 წ.

„ბრძენი კაცი“ ანუ რომელიმე ძველის ფილოსოფოსის მიერ გარდმოცემულნი მშვენიერნი სწავლანი, სიბრძნესა და ზნეობასა ზედა, ბედნიერათ გატარებისათვის ცხოვრებისა ქვეყნასა ზედა. კოსტანტინეპოლი 1878 წ.

„მოკლე რეტორიკა“, გინა მჭერმეტყველობა კოსტანტინეპოლს 1877 წ.

„მოკლე ფილოსოფია“ გინა სიბრძნის მოყვარეობა. კოსტანტინეპოლს 1880 წ.

„სიბრძნე კაცობრივი“ რომელიც ასწავლის კაცს ჭკუის რიგიანათ ხმარებასა. ფრანცია (მონთობანი) 1877 წ.

„მოკლე ქართული დრამატიკა“ დამატებული გრამატიკულ და ლოგიკურის ანალიზებით, ფრანცია (მონთობანი) 1877 წ.

„მოკლე ფრანგულ-ქართული დრამატიკა“ კოსტანტინეპოლს 1881 წ.

„მოკლე სახელმძღვანელო“ სწავლისათვის ფრანგულის ენისა ქართველთაგან, ფრანცია (მონთობანი) 1877 წ.

„საქრისტიანო მოძღვრება“ გინა კატეხიზმო. საქართველოს რომის კათოლიკეთათვის.

„პატარა საქრისტიანო მოძღვრება“ ქართული ანბანით დაწერილი ყრმათათვის, საქართველოს რომის კათოლიკე ბავშვთათვის. დაიბეჭდა 10,000 ათასი და დაარიგა მუქთათ ხალხში.

„წალკოტი ლოცვათა“ რომელიც შეიცავს სხვა და სხვა

– 70 –

რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა – 1877.

„თანსატარებელი ლოცვანი“ რომელიც თვის შორის შეიცავს საყოველღეო საჭირო ლოცვებს რომის ქართველ კათოლიკეთათვის.

**„ისტორია საზოგადო“** მეხუთე ნაწილი შეიცავს ახალს ისტორიას საზოგადოთ. მეექვსე ნაწილი ისტორიისა ევროპის ნათესავთა თვითოეულად: რუსეთის, საფრანგეთის, ანგლიის, ისპანიის, პორტუგალიის, დანიისას, შვეიცარიის, გოლანდისას, გერმანიისას, იტალიისას და სხვ. სასოფლო სკოლებში სახმარებლად. საქართველოს დიდის მწუხარებით აღნიშნავს, ნამეტურ ოსმალთაგან დასავლეთ საქართველოს დაპყრობას და ქართველთ გათათრებას. ფრანცია 1877 წ.

**„მოკლე გეოგრაფია“** გინა ქვეყნის აღწერა. აღწერა ყველა სახელმწიფოებისა, საქართველოზედაც საკმარისი ცნობებია მოყვანილი, რამდენიმე ნაწილად. შედგენა მიძღვნილი აქვს წმ. ნინოს სახელს. ფრანცია (მონთობანი) 1877 წ.

**„მზა პასუხი“** სომხური გაზეთი. „მშაკის“ შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული მოქალაქობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკკლესია და სხვანი, კოსტანტინეპოლს. 1882 წ. პატარა წიგნია, პეტრეს გამოცემული.

**„თამარ მეფის სურათი“** ფერადის წამლებით, ოთხს ენაზე წარწერით ქართულად, ოსმალურად, ფრანგულად და სომხურათ. სტამბოლში რამდენიმე ათასი გაყიდულა ერთ კვირაში. კოსტანტინეპოლი 1875 წ.

**„წმ. ნინოს სურათი“.** დაბეჭდილი, ფრანცია (მონთობანი) 1879 წ.

– 71 –

**„საქართველოს რუკა“** პატარათ შედგენილი. დაბეჭდილი 1877 წ. ფრანცია. და ბევრიც სხვა საჭირო დაუბეჭდავი ხელთნაწერები დარჩა: ქიმიის სახელმძღვანელო, ფიზიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის, საქართველოს ისტორია და ის ფრანგულ-ნემეცურ-ქართული ლექსიკონი, რომლის შედგენაზე ბ. ვაზიანელიც იწერებოდა. აქ ხსენებულ სახელმძღვანელოების გარდა პ. ხარისჭირაშვილს სხვა ბევრი წერილები და წიგნები დაშთენია დაუბეჭდავნი. მიზეზი ბეჭდვის შეჩერებისა იყო ბევრნაირი და ერთი ისიც, როგორც მწერდა 1883 წ. ჩემგან დიდათ პატივცემული პატრი ათანასე ნასყიდოვი, რომ ენა დაგვიწუნესო. აი თვით წერილის ერთი ადგილი: „ძმაო ზაქარია! პ. ხარისჭირაშვილს აპოპლექსმა დაჰკრა, ეხლა ევროპაში წავიდა, წიგნების ბეჭდვა მიტომ შევაჩერეთ, რადგანაც საქართველოში ენის სტილი დაგვიწუნეს, თქვენი პატივისმცემელი ათანასე ნასყიდოვ. ანდრიანოპოლი. 1883 წ. პ. ხარისჭირაშვილის თავის გამოცემული წიგნების გავრცელება საქართველოს სკოლებშიაც

სდომნია, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა, ამაზე აი რას სწერს პატივცემული იოანე გვარამაძე: –„დაიბეჭდა და გამოსცა მეტათ სასარგებლო წიგნები, მაგრამ ჩვენ-და დიდათ სამწუხაროთ საიმისოთ ვერა ვსარგებლობთ ამ ძვირფას წიგნებიდგან, მაგრამ ბრალი, დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი, ჯერ კიდევ ვერ გამოვსულვართ უმეცრების ღრმა ძილი-

– 72 –

საგან“ და სხვანი. პეტრე ხარისჭირაშვილს რომ გულში მოხდევებული ჰქონია საქართველოს ერის სიყვარული, ეს რომ ქართველ გვარის დავრდომისა-გან დიდათ შეწუხებული ყოფილა, ამას გამოაჩენს შემდეგი მისი წინასიტყვაობის ერთი ადგილი, რომელ წინასიტყვაობაც მის მიერ დასტამბულ წიგნებშია მოყვანილი: – «დიდის ხნის აქეთ მწუხარეს გულით ვხედვიდით, რომ არ იპოვებოდნენ ქართულს ენაზე დასტამბული სასარგელო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველი-ფერი მოკლებული იყო სწავლის საშვალეებისაგან, მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი, იგი რო-

მელიც ქართულ ენის მეტი სხვა ენა არ იცის. წიგნების უქონლობა უფრო შესამჩნევ გულ დასაწველი იყო მიხედვით სასოფლო სკოლების მდგომარეობისა, ამიტომ რომ სოფლის გლახაკი საზოგადოება, თუმცა აკლებდა თავის ოჯახს და აძლევდა ფულს სკოლის აშენების და მასწავლებლის ჯამაგირის მიცემისთვის, რათა განღებოდათ სწავლის კარი თავის შვილებს და უწინდელივით აღარ აღზრდილიყვნენ ყოვლითურთ უსწავლელათ და უმეცრათ, მაგრამ სკოლისთვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები არსად იყო, რომლითაც შესძლებოდათ მასწავლებლებს გაკვეთილების მიცემა. ამ ფერი წიგნების ნაკლებობისაგან იზადებოდნენ ეს შეწუხებული მოხდენილო-

ბანიცა, რომ არა თუ სასოფლო სკოლების საქმე წინ ვერ მიდიოდა, არამედ ვითარც ეწერა „სასოფლო გაზეთში“ ზოგი მათგანი ბოლოს გაუქმებულა კიდევაც. სოფლის სკოლების ასეთ საბრალო მდგომარეობის შესახებ დიდი ხანი არ არის რაც გაზეთ „დროება“-შიაც ეწერა, რომლითაც სამართლიანათ სწუხდა ერთი მასწავლებელი და ამბობდა, რომ „ბუნების კარი“ იყო და ისიც ხუთჯერ დავახელმეორებინე ყმაწვილებსაო, რომ ამის გარდა სხვა წიგნი არ იყოვო ქართულს ენაზეო. ამ

– 73 –

ზემოთ თქმულს უიმედობას „ბუნების კარის“ წინასიტყვაობის დამწერიც აცხადებს. ამიტომ მძიმე საქმის აღება შეგვაგულიანა და რადგანაც ჩვენი სამონაზნო საზოგადოების წესდებულების თანახმაც იყო, რადგანაც სხვა არაფრისთვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებივი ერთობა (Congregation), თუმც ამ წიგნების გამოცემს დიდი გროვა ფული და ძალა დასჭირდა, მაგრამ რადგან დიდათ მიგვაჩნია საქართველო და გვექონდა ნა-

ტვრა მისდამი სამსახურის ჩვენისა, ყოველ ნაირი მძიმე შრომა და ნაწარმოების მსხვერპლი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმატება სწავლაში და მისის მომავალ ახალ თაობასაც საშვალეობა მცნოებში და სხვანი“.

პეტრე ხარისჭირაშვილს დიდათ სურვებია, რომ ეს წიგნები საქართველოს გარდა ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებშიაც შეეტანათ და განეცრათ. ამის მიზანი უფრო უკანასკნელს უახლოვდებოდა, კოსტანტინეპოლის ქართველებშიაც საკმარისად მოჰყვნილა. დღესაც კოსტანტინეპოლში რამდენიმე კომლი ითვლება ქართველ-კათოლიკეთა მცხოვრებთ და ყველას ოჯახებში მოიპოვება ეს წიგნები.

გაზეთ „ინდეპენდანტ ბელგიეში“ 1876 წ. დაბეჭდილ ცნობაში მოყვანილია, რომ კოსტანტინეპოლის ქართველ ბერებს სურსო „რომ ნაციონალურის გრძობების აღძვრის საშვალეობით კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებში“-ო. ეს მოხსენება ჭეშმარიტებას არ არს მოკლებული. პეტრე ხარისჭირაშვილს ქართველ კათოლიკეებზე უფრო დიდათ ქართველთ მაჰმადიანთ საქმე ადარდებდა, მათი დალუპვა, გათათრება და საქართველოსაგან მო-

გლეჯა. დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა და ქართველების შეფერხება მას ისე ადარდებდა, რომ ამაზე მეტი უსასტიკესი დარდი მისთვის აღარა იყო რა. ქართველ კათოლიკეთა ქართველათ ცნობა და ამათში ქართული ენის წინმსვლელობა უფრო ქართველ მაჰმადიანთ მალამოთ სურდა. როგორც ქართველ კათოლიკების შესახებ, ისევე ქართველ მაჰმადიანთ შესახებ პეტრე ხარისჭირაშვილმა ცნობები მოჰყვინა ევროპაში. მთელს ევროპის ერს აუწყა ძველ საქრისტიანო საქართველოს ერის გათათრების ამბები. 1870 წლის შემდეგ ევროპიდგან ძრიელ ხშირად მოდიოდნენ სხვა დ სხვა მოგზაურნი და აღწერდნენ გათათრებულ ქართველთა. ხარისჭირაშვილს ჰაზრათ ჰქონდა, რომ ოდესმე ქართველ კათოლიკების დახმარებით გათათრებულ ქართველებსაც მისწვდებოდნენ და მათშიაც შეიტანდნენ ქართულ წიგნებს და ქრისტიანობას. ამ კეთილ საქმისთვის მას მთელი ევროპის ქრისტიანთ სამღვდელონი ჰპირდებოდნენ დახმარებას, ნამეტურ რომის ტახტის უმთავრეს საფუძვლათ ესეც გახდა პეტრე ხარისჭირაშვილისაგან დაფუძნებულ ქართველთ ძმობის ნიადაგის გამაგრებისათვის. მიტომ უფრო გაამდიდრეს ძმობის ძირითადი თანხა და შეძლება, რომ შემდეგ ამ პირებს ქართველთ განათლების და გაქრისტიანებისთვის ეზრუნათ. ერთ დროს პ. ხარისჭირაშვილმა

მთელს დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა, დაწვრი-  
ლებით შეისწავლა ყოველი ხეობა, დაბა, სოფელი

– 75 –

და მასში მცხოვრები ქართველი თუ სად რამდენი  
კომლი კაცი სხოვრებდა. 1870 წელ. ამათ უკვე  
ცნობები შეადგინეს მის შესახებ, თუ პირველად სად  
უნდა შემოსულიყვნენ საქადაგებლათ, სად უნდა  
განეახლებინათ ძველი ეკლესიები, სად უნდა და-  
მკვიდრებულიყვნენ ძმანი და მამანი , მათ უნდა  
სცოდნოდათ კარგათ ქართული ენა, ბებიობა, ექი-  
მოზა და წამლების კეთება. ეკლესიების პატრონო-  
ბის და სწავლა მეცნიერების ქადაგების გარდა ქა-  
რთველ მქადაგებელნი ავათ მყოფ კაცის ოჯახში  
თავისუფლათ უნდა შესულიყვნენ და ექიმოზა და-  
ეწყოთ. თათრის მოლა, ხოჯებთა კავშირი უნდა და-  
არსებინათ, ნამეტურ ქართველ გვარის ხოჯებთან.  
როცა მოძღვარნი ყველას წინაშე ჩინებულის დვაწ-  
ლით და შრომით დაიმსახურებდნენ სახელს და ხალხს  
თავს შეაყვარებდნენ, როცა ესენი დარწმუნდებოდ-  
ნენ მასზედ, რომ მათ უკვე მოიპოვეს ხალხისაგან  
დიდი სიყვარული და პატივისცემა, მის შემდეგ და-  
იწყებდნენ სკოლების დახსნას, ზავშვების შეკრებას  
და სწავლა განათლების შეტანას. აქ უნდა სახელ-  
მძღვანელოთ ეხმარათ ყველა ის წიგნები, რომლე-  
ბიც პ. ხარისჭირაშვილმა დაბეჭდა ფრანციასა და  
სტამბოლში და რაც ზემოთ მოვიხსენიეთ. მოძღვარ-  
თა მეცადინეობა პირდაპირ ქართველ მაჰმადიანთ  
ყმაწვილებისაკენ უნდა ყოფილიყო მიჰყრობილი,  
რომ მათში ძრიელ მალე შემოეტანათ ევროპიული  
სწავლა განათლება, ნამეტურ აქ უნდა ესწავლებინათ

– 76 –

საქართველოს ისტორია, ოსმალთაგან დასავლეთ სა-  
ქართველოს დაპყრობა და გაათათრება, ქართული  
მწიგნობრობის ისტორია, ქართველ მწერლების და  
გამოჩენილ მეფეების ცხოვრება.

პ. ხარისჭირაშვილი ყველა ამების მოსახდენათ  
და შესასრულებლათ ათს წელიწადს საჭიროებდა.  
ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ყველაფერს შევიძლებთ,  
რომ მოვახერხოთო. მეორე ათ წლის განმავლობა-  
ში ქართველ მაჰმადიანებს მოვაქრისტიანებთო, თუ  
ნებას მოგვცემენ, ჯავახეთსაც დავეპატრონებთო. იგი  
ამ საქმისთვის სცხოვრებდა მხოლოდ, ამით ნეტარებ-  
და, ამ საქმის შესრულებას ელოდა, მუდამ დღე თა-  
ვის მოვალეობათ მართოთ ეს საქმე მიაჩნდა საჭი-  
როთ. ბევრის შრომის და წვალების შემდეგ იგი მო-

ესწრო იმასაც, რომ ევროპის უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში 1876 წ. სწავლა დაამთავრა თოთხმეტმა ქართველ კათოლიკეთ მოძღვარმა, რომელთაც საღმრთო საგნებს გარდა შესწავლილი ჰქონდათ ექიმობა, წამლების კეთება, სხვა და სხვა ენები და მასწავლებლობა. ესენი აღზრდილნი იყვნენ პ. ხარისჭირაშვილის გავლენის ქვეშა, მასთანვე ნამდვილნი ქართველნი, მოყვარენი საქართველოს ისტორიისა, ნამეტურ ძველის ყოფაცხოვრების და განსაკუთრებით ამათ ზედმიწევნით იცოდნენ დასავლეთ საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, რაის საშვალეებითაც იმედოვნებდნენ, რომ ქართველს მაჰმადიანებში გვარტომობის სიყვარულს ერთობ მალე

– 77 –

აღძრავდნენ. და მერე ამის საშვალეებით ქრისტიანობის საქმესაც შეუდგებოდნენ და გაავრცელებდნენ.

მქადაგებელთ აუშენდებოდათ სახლები, სკოლის შენობანი, განაახლებდნენ აქა იქ ძველს ეკლესიებს, შიგ გამართავდნენ გალობას. ამისთვის იქ იყოლიებდნენ მგალობელთ. ეკლესიის გვერდით იქნებოდა საავათმყოფო ქართველ მაჰმადიანებისთვის, ნამეტურ ღარიბთათვის. იქვე იქნებოდა აფთიაქი და ერთივე სხვა სახლი ღარიბ მოგზაურთათვის. ყოველ წეს-ჩვეულებას მაჰმადიანებისას ხელშეუხებლათ დასტოვებდნენ და ხშირად პატივსა და ქებასაც აღმოუჩენდნენ და ეტყოდნენ დაყვავებისათვის, ხშირათ ივლიდნენ მათ ჯამეებში. ყველა ამ სამაგალითო საქმეების ხარჯი უნდა დაფარულიყო იმ მამულებიდან, რომლებიც მოპოვებულ იქმნა ერთ დროს პ. ხარისჭირაშვილისაგან. თუ რამ დააკლდებოდა ამისთვის, უნდა მიემართათ რომის ტახტისთვის და ყოველივე მათთვის უხდა ეკისრებინათ. რომის ტახტის გარდა უნდა მიემართნათ ევროპის სხვა და სხვა ქრისტიან სახელმწიფოებისთვის და დახმარება ეთხოვნათ, ამისთვის პეტრე ხარისჭირაშვილმა წინდაწინვე მიმართა და მთელმა ევროპის კათოლიკეთა სამღვდელთა დახმარებას დაჰპირდა.

ერთმა ქართველ კათოლიკემ სტამბოლში რამდენიმე დუქანი შესწირა. ამ საქმისთვის სხვებმაც ბევრი რამ დახმარება აღმოუჩინეს და ზოგი ჰპირდებოდნენ მომავალში შეწირვას, ოღონდ ამ საქმეს

– 78 –

ხელი მოჰკიდეთ და ამოდენა ქართველობა ნუ დაიღუპება, ქართველ გვარს ნუ მოესპობა ქართული ენა და ზნე-ჩვეულებაო. ეს ყოველივე შესრულდე-

ბოდა და ხსენებულ მოძღვარნიც მალე წამოვიდნენ დასავლეთ საქართველოში, რომელიც მაშინ ოსმალეთს ეკავა, მაგრამ ამ დროს ომი მოხდა და საქმე შეჩერდა. ომის შემდეგ უმეტესი ნაწილი ადგილებისა სადაც კი უფრო ქართველობა მჭიდროთ ესახლნენ და ქართული ენაც შეურყევლათ სუფევდა, ამ ადგილების უმეტესი ნაწილი რუსეთმა შემოიკავშირა, და ამიტომ ხსენებულ პირებმა ვეღარ მოახერხეს შემოსვლა. ამათ ომის შემდეგ რუსეთის მთავრობას მიმართეს კოსტანტინეპოლიდგან და ყოველივე საქმე აუწყეს. მასთანვე სთხოვეს, რომ მთავრობას ამათთვის ნება მიეცა დასავლეთ საქართველოში შემოსვლისა და მოქმედების. მთავრობამ ამის ნება არ მისცა, რადგანაც ახლად შემოძენილი ადგილებია და შეიძლება, რომ ხალხი დაფრთხეს და სრულიად წავიდესო, გადასახლდეს ოსმალეთშიო და მეორე – კათოლიკის სარწმუნოებაც არ შეიძლება რომ მოფენილ იქმნეს, რადგანაც ეს წინააღმდეგია სახელმწიფო რჯულის და მართმადიდებელ ეკკლესიის კანონმდებლობისაო.

რაკი საქმე ასე დაბოლავდა, ამიტომ ხსენებულ განვითარებულ ქართველთ მქადაგებელნიც ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებისკენ გაიფანტნენ. პეტრე ხარისჭირაშვილსაც თავის იმედები ვერ შეუს-

– 79 –

რულდა და ამიტომ მწარეთ დანაღვლიანდა. ამასაც გული გაუტყდა თავის ბრძოლის და მეცადინეობის გამო, რომ ამოდენა ჩემმა შრომამ უნაყოფოთ ჩაიარაო. ის მიეცა განმარტოებით მონასტერში ცხოვრებას და ხელახლავ გლოვნა, გოდებას და მწუხარებას ქართველთ მაჰმადიანთ შესახებ. ეს ყოველთვის მწუხარებაში იყო თურმე. სტამბოლში როცა კი ვინმე ქართველთაგანი მივიდოდა და მას ესტუმრებოდა, ეს სტუმრის წინ იტირებდა და მერე საქართველოს ამბებს გამოჰკითხავდა. ასევე ექმნა იმ დროს, როცა ბ. დიმიტრი ბაქრაძე კოსტანტინეპოლში იყო და პ. ხარისჭირაშვილს ესტუმრა. დ. ბაქრაძის პირველ მისვლისას პ. ხარისჭირაშვილმა ჯერ მწარეთ იტირა და მერე დაუწყო საუბარი საქართველოს ერის შესახებ და ისტორიისა. ძალიან გულგატეხილი ყოფილა საქართველოს ერზე და ნამეტურ მასზე, რომ ამდენი ქართველი მაჰმადიანობა უპატრონოთ არის დაშთენილი, ამოდენა ხალხი უნდა მოეგლიჯოს საქართველოს, ქართულს ენას და გვარტომობასო, რადგანაც დღეის შემდეგ ქართველობა ამისთვის ვეღარ მოიცლისო. უნდა ვსთქავთ, რომ ამ პირზე არა მცირე მწუხარებით აღივსნენ ის



ქართველ კათოლიკეთ განათლებულ-მქადაგებელ-მოდღვარნიც, რომელნიც პ. ხარისჭირაშვილის მეოხებით განათლდნენ და რომელთაც ქართველ-კათოლიკეების გვარტომობის ცნობა და პატივის ცემაც მთელს კათოლიკობაში მოჰფინეს. ამ საქმის წინწა-

– 80 –

წევისთვის რამდენათაც პატივსაცემია პეტრე ხარისჭირაშვილი, იმდენათვე პატივსაცემნი არიან ეს ჩინებულნი ქართველ კათოლიკეთა მოძღვარნიც.

## VI.

პ. ხარისჭირაშვილი დადარდიანებულ იქმნა იმ გარემოებისაგანაც, რომ ქართველ მაჰმადიანებს მალე ვეღარ ეღირსებათ ქართველებთან შეკავშირება. ეს დიდის გოდებით სწყევლიდა ბეჟა ათაბაგს, რომელმაც უღალატა თავის ბიძას, ის მოჰკლა, მოწამლა, ათაბაგობა თვითონ მიიღო სულთანის მეოხებით, ჯერ თვით გაათათრდა და მერე დასავლეთ საქართველო გაათათრა. მთელი ოსმალეთი სავესეა ამისგან გაათათრებულ ქართველებითო. 1850-60 წ. და შემდეგაც ეს ბეჯათად ავლებდა თვალყურს ოსმალეთში მყოფ ქართველთ და ნამეტურ იმ ქართველთ მდგომარეობას, რომელ ქართველთაც საქართველოს მეტატონენი ყიდდნენ ოსმალთა ვაჭრებზე და ოსმალთა ვაჭრებსაც ეს ყმაწვილები ტრაპიზონში და კოსტანტინეპოლში მიჰავდათ და იქ ჰყიდდნენ თათრებზე, შემდეგ წლებში ამათ იქ ათათრებდნენ. ასეთ დაყიდულ ქართველი ყმაწვილ პირები პეტრე ხარისჭირაშვილს ხშირათ დაუხსნია თავის საკუთარის ფულით და მერე ესენი სამშობლოში დაუბრუნებია.

განსვენებულს ივანე კერესელიძეს 1860 წელ.

– 81 –

ამის შესახებ თვით პ. ხარისჭირაშვილისაგან წერილებიც მოსვლია ხოლმე „ცისკარში“ დასაბეჭდათ, მაგრამ ივანე კერესელიძემ სთქვა: „მე როგორ დავბეჭდავდიო, მთელი თავადაზნაურობა ამიჯანყდებოდაო“.

პეტრე ხარისჭირაშვილი დიდათ აყვედრიდა ხოლმე თავად-აზნაურობას საქართველოს დალატს, ყმების გაყიდვას და სხვა ასეთ საქმეებს, ნამეტურ მას სმაგდა გურიის თავადაზნაურობა, რომელნიც თვინათ ყმებს ოსმალეებზე ცხვრებზე უფრო იაფათ ყიდდნენ. მის დროს მთელი სტამბოლი სავესე იყო

გურულის გოგო, ბიჭებით 1869 წლებშიო. რამდენი გურულ ქალებთაგანნი იქმნენ პ. ხარისჭირაშვილისაგან დახსნილი, რომლებიც თათრობიდგან ქრისტიანობაზე გადმოვიდნენ და კოსტანტინეპოლის დედათ მონასტერში მოლოზნებათ შევიდნენ.

თუმცა პ. ხარისჭირაშვილს ასეთი სამწუხარო სურათები ეჩხირებოდნენ თვალთწინ და იგი ამაების გამო მეტათ გულჩატეხილიც იყო, მაგრამ მაინც ქართველ გვარის სამსახურს და ბედნიერებას გულიდგან არ იშორებდა. დღე და ღამე სულ ქართველების შესახებ ჰქონდა ფიქრები. უკანასკნელ დროებში ეს სხვა ფიქრებს მიეცა და სხვა საქმეებს დაადგა. ამან გამოაცხადა მთელს ქართველ კათოლიკეებში შემდეგი თავისებური მოსაზრება: ყველა გვარის ტომი დაწინაურდა ვაჭრობით, ხელობით და სხვების ცოდნით.

– 82 –

მაგრამ ჩვენ ქართველებს კი არა გვეშველა რა, ჩვენი ქვეყანა სავსეა უცხო ტომთ ვაჭრებით, ჩვენში ისინი სარგებლობენ და ქართველ გვარის წევრნი კი გადატაკებულნი და დაქვეითებულნი არიან. ამას რამე უნდა ეშველოს და მოევლინოს, რომ ქართველ ტომის ერნიც წადგნენ წინ და ვაჭრობას შეეჩვიონ.

ამან განიზრახა სავაჭრო ამხანაგობის შედგენა და სტამბოლში დაფუძნება. ამ ამხანაგობას სწირავდა ეს თავის საცხოვრებელს და შეძლებას. ამხანაგობა ფუძნდება იმ ჰაზრით, რომ ქართველ გვარის ერი ევროპიულს ვაჭრობას შეეჩვიოს და ამით ქართველი ერი დაწინაურდეს და წინ წავიდეს. ამისთვის იმართება ხელის მოწერა, ბევრნი მთელს თავიანთს საცხოვრებელს სწირვენ, როგორც პ. ხარისჭირაშვილი. საწევროთ შეაქვსთ 6000 მანეთი. ფულის მოგროვებას, საქმის დამტკიცებას და მკტიცე ქართველ გვარის ძმობის დაარსების შემდეგ ქართველნი კოსტანტინეპოლში აკეთებენ ქარვასლას, აქ ხსნიან მაღაზიებს, ქარვასლას. ქართველთ ვაჭართ ქარვასლა ეწოდება. საქართველოში იმყოფებიან ძმობის ამხანაგები, რომლებიც საქართველოდგან ამ ქარვასლაში გზავნიან იმ ნაწარმოებს, რაც საქართველოში მოდის. ის იქ იგზავნება და იყიდება. ამის დაყიდვის შემდეგ იქ, ანუ ევროპაში ყიდულობენ იმ საქონლებს, რაც საქართველოში სალდება და გზავნიან საქართველოში მყოფ ძმობის ამხანაგებთან.

ამხანაგობა მეცადინეობს, რომ ვაჭრის შეგირ-

– 83 –

დებათ მარტო ქართველ გვარის მოწაფენი იყოლიონ

და ესენი გამოსწურთონ ვაჭრობაში. კოსტანტინე-პოლის ქართველთ ქარვასლის ერთ სართულში სცხოვრობდნენ თვით ვაჭრები, დანარჩენი სართულის ოთახები კი სავაჭროებათ უნდა იყოს დატოვებული. 25 წლამდის ყველა ვაჭარმა უნდა ცოლი შეერთოს, ესენი თავიანთ სახლობით აქ უნდა იყვნენ, შვილებს შესაფერი განათლება უნდა მისცენ, ლოთობა, ჩხუბი და სხვა რამეები ამათში მოსპობილ უნდა იყოს. თავისუფალს დროს ესენი უნდა მისდევდნენ ქართულ წიგნებისა და გაზეთების კითხვას. მავნე პირნი, ან ცოლშვილის დამწიოკებელნი, ან ლოთობის მიმდევარს, ჯერეთ დარიგება ეძლევა, მერე ზედამხედველებს უყენებენ და თუვერც ეს გაასწორებს მას, მერე რიცხვენ ქართველთ გვარის ძმობიდგან. ამ წესდებაში ბევრი კიდევ სხვა რამეებია მოხსენებული, ყოველი საგანი, ყოველი კითხვა დაწვრილებით არის აღწერილი და განმარტული. ასე რომ ეს წესდება კი არაა, უფრო თხზულება არის იმის შესახებ, თუ ასეთი სასარგებლო ძმობა როგორ და რა მიზნით უნდა დაფუძნდეს და ისიც თუ ამის მოქმედება, წარმოება და ვაჭრობა რა რიგათ იქმნეს მოწყობილიო.

პ. ხარისჭირაშვილი უკანასკნელ დროებში სულ ამაზე ოცნებობდა, სულ ამაზე ფიქრობდა, რომ ქართველ გვარს ამ გზით მაინც გაუწიოს სამსახური, მაგრამ იგი ამის განხორციელებას ვერ მოესწ-

– 84 –

რო და გარდაიცვალა 1890 წ. ხანში შესული, მწარე ნაღვლიანობაში მყოფი. უწყიან, რომ ამან სიკვდილის წინეთ მიიხმო თავის მოწაფე მოძღვარნი და დიდის ერთგულებით დაავალა შემდეგი: საქართველოს სიყვარული, ქართული ენის და მწიგნობრობის პატრონობა. ერთმანეთის სიყვარულის მეოხებით ქართველ კათოლიკების გვარტომობის მფარველობა და პატრონობა, რომ მათ ტომობას, გვარს და ენას გზაში რამე ხიფათი არ მოევლინოს და მათ არ დაუწყონ გადაგვარება. დიდებული ქართული ენა, რომელ ენითაც ლაპარაკობდნენ თვით მოციქულნი მაცხოვრისა და რომელ ენაც ადიდა შოთა რუსთაველმა, შავთელმა, პეტრე ვარაზ ბაკურისძემ, ჩახრუხაძემ, პეტრიწემ, გიორგი მთაწმინდელმა, თმოგველმა და სხვებმა, რომ ეს ენა არ წაერთოთ მათ და არ დაეკარგოსო.

---

შეცდომის გასწორება.

შეცდომით ერთ ფურცელზე გამოტოვებულია სრულიად შემდეგი ცნობა.

პაპას როცა ეახლა და შებმანდა პაპის სასახლეში, კარდინალს აუწყეს პ. ხარისჭირაშვილის მისვლა, კარდინალმა პაპას მოახსენა. პეტრე მიიღეს. ამან როგორც შედგა ფეხი თუ არა პაპის დარბაზის კარებში, იმ წუთაშივე მუხლებზე დაეცა და პაპის მუხლებამდის ჩოქვით უნდა მისულიყო, მაგრამ პაპამ არ დააცალა. პაპა საჩქაროთ წამოხტა ტახტიდამ, მივიდა უცებ პეტრესთან, ააყენა, ხელი დაუჭირა, მიიყვანა თავის გვერდით, დასო და საუბარი გაუმართა. პაპისაგან ეს დიდი, იშვიათი პატივისცემა იყოვო რადგანაც პაპა ასეთ პატივით თვით კარდინალებსაც არ ეპყრობა ხშირათაო.

ზ. ჭ.

1890 წ.